

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

# საქართველოს რესპუბლიკა


დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 14 ივლისი, 2009 წელი.

№ 141 (6242)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## მინიშნებები მინიშნებებზე

- მიშას ხალხს - მიშას კვერცხები!
- ჩვენ გავიმარჯვეთ!
- „დაიცავი საქართველო“
- სანიკიძის ბოიკოტი



2

## „ასი დღე ბავშვობის შემდეგ“



თუ ამ წერილის სათაურიდან ვიმსჯელებთ, მართლაც ასი დღე გავიდა იმ „ბავშვობის“ შემდეგ, როდესაც საქართველოს მოსახლეობის საკმაოდ დიდმა ნაწილმა ჩათვალა, რომ ქვეყანაში არსებობს ოპოზიცია, რომელსაც შეუძლია, გააერთიანოს ის უამრავი პრობლემა, რომლებიც დღევანდელმა ხელისუფლებამ თავს დაგვატეხა

3

## მამა ნაკე (ბიძაც ნაკე), შვილი ისე გამონაკე

2

ვისი აგენტია გაგა გაჩეჩილაძე და რატომ არ მოსწონს მას ხელისუფლების ნაქები „ჩაშვების“ ინსტიტუტი

## ბანკმა ნულოვანი დამიყადოს!



პრეზიდენტს სატრაბახო არ ელევა

5

## სიმართლე არ დაიმალება,

ვინ და როგორ ცდილობს აფხაზეთში მებრძოლი რკინიგზელების ღირსების შელახვას

5




იაკობ გოგებაშვილი თავის დროზე ძნელად თუ წარმოიდგენდა, რომ თავისი „დედაენა“ როდესმე მაინც საზოგადოებისთვის პრობლემა და თავსატეხი გახდებოდა. მაგრამ XXI საუკუნის ქართველმა განათლების რეფორმატორებმა ამ დიდი საზოგადო მოღვაწის ნაამაგარ და ქართველი ერისთვის ანდერძად გადაცემულ წიგნს გვერდი აუარეს და სკოლებში „აი იას“ პრინციპით წერა-კითხვის სწავლება ამოიღეს.

## პედაგოგთა უმეტესობა გოგებაშვილის წიგნის მომხრეა

7

## „ერთი პირის ქირიმე და ბევრი ხელისაო“

ყოველ საქმეს რომ ხელმძღვანელი, ანუ ლიდერი სჭირდება, ეს აქსიომაა. აქსიომაა ისიც, რომ იგი ერთი უნდა იყოს და არა ათი და ოცი. ყველა არამკითხე უტარო კოვზივით არ უნდა ერეოდეს ხელმძღვანელობაში, უფლება არ უნდა ჰქონდეს, შეუთანხმებლობასა და ქაოსს თესავდეს მასში.

3



ინფორმაცია

## „ნაბუკოს“ სამიტი ანკარაში

**ანკარაში „ნაბუკოს“ პროექტთან დაკავშირებით მიმდინარე სამიტზე, რომელსაც მსოფლიოს 30 ქვეყნის დელეგაცია ესწრება, ხელი მოეწერა მთავრობათაშორის შეთანხმებას. დოკუმენტს თურქეთმა, ავსტრიამ, უნგრეთმა, ბულგარეთმა და რუმინეთმა მოაწერეს ხელი.**

საქართველოს მხრიდან სამიტში მონაწილეობენ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, ენერგეტიკის მინისტრი ალექსანდრე ხეთაგური,



საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიგა ბოკერია.

— დარწმუნებული ვარ, პროექტი ხელს შეუწყობს არ მარტო მისი მონაწილე ქვეყნების დაახლოებას, არამედ რეგიონის უსაფრთხოებას და აყვავებას. ბევრი ამბობდა, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მშენებლობა სიზმარი იყო, მაგრამ მილსადენი უკვე აქტიურად მუშაობს. „ნაბუკოს“ პროექტი მხოლოდ მონაწილე ქვეყნებისთვის არ არის, მასში ჩართვა შეუძლიათ სხვა ქვეყნებსაც, მათ შორის — რუსეთს. ეს ხელს შეუწყობს რეგიონის აყვავებას, — განაცხადა სამიტის გახსნაზე თურქეთის პრემიერ-მინისტრმა რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა.

## გამოჩნდა, თუ რამდენად საშიშია გაზით ქვეყნების შანტაჟი

**შარშანდელი აგრესია საქართველოს წინააღმდეგ და გაზის გათიშვა ძალიან ბევრი ევროპული ქვეყნისთვის ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული მოვლენები იყო, — ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა ანკარაში მიმდინარე „ნაბუკოს“ სამიტზე განაცხადა.**

— შარშანდელი ომი, შარშანდელი აგრესია საქართველოს წინააღმდეგ და გაზის გათიშვა რამდენიმე თვის წინათ ძალიან ბევრი ევროპული ქვეყნისთვის ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული მოვლენები იყო. ეს იყო კლასიკური აგრესიული გათიშვის პოლიტიკის გამოხატულება. შარშან ათეულობით ბალისტიკური რაკეტა ესროლეს საქართველოს ნავთობისა და გაზის გამანაწილებელ ქსელს ყოველგვარი სამხედრო დასაბუთების გარეშე, — აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა.

მისივე თქმით, გაზის გათიშვამ რამდენიმე ევროპულ ქვეყანაში ღრმა პოლიტიკური პროცესები გამოიწვია და გამოჩნდა, რამდენად საშიშია გაზით ქვეყნების შანტაჟი.

საქართველოს პრეზიდენტმა „ნაბუკოს“ პროექტთან დაკავშირებით ხელშეკრულების გაფორმებას წინ გადადგმული ნაბიჯი უწოდა.

## „შემოგვიერთდით“ რეგიონებში გადის

**ახალგაზრდული მოძრაობის „შემოგვიერთდით“ წევრებმა გუშინ სასტუმრო „თბილისი მარიოტთან“ პრესკონფერენცია გამართეს.**

როგორც პრესკონფერენციაზე ორგანიზაციის წარმომადგენელმა მელორ ვაჩნაძემ განაცხადა, 15 ივლისს იწურება ერთკვირიანი ულტიმატუმის ვადა, რომლის მიხედვითაც, პოლიტპატიმრები უნდა გათავისუფლდნენ და ყველა დამნაშავე პირი დაისაჯოს.

„შემოგვიერთდის“ წევრები ბათუმში გაემგზავრნენ. მელორ ვაჩნაძის განცხადებით, ბათუმის შემდეგ ზუგდიდში, შემდეგ კი ქუთაისში გადაინაცვლებენ, სადაც მასშტაბური საპროტესტო აქცია დაგეგმილი. მოძრაობის წევრები უკვე იმყოფებოდნენ კახეთში.

## აწი მიცვალებულის დაკრძალვასაც აგვიკრძალავენო

**ლეიბორისტული პარტია, არასამთავრობო ორგანიზაციები და გარდაცვლილების ახლობლები საფლავებზე გადასახადების შესაძლო დაწესებას აპროტესტებენ.**

როგორც თბილისის საკრებულოსთან გამართულ აქციაზე „ლეიბორისტების“ ერთ-ერთმა ლიდერმა სოსო შატბერაშვილმა განაცხადა, თბილისის მერს, გიგი უგულავას მომზადებული აქვს საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც საფლავებზე გადასახადების დაწესებას ითვალისწინებს, კვადრატულ მეტრზე 20 ლარის ოდენობით, ხოლო მარმარილოთი მოპირკეთებულ საფლავზე გადასახადი ორმაგი იქნება. სოსო შატბერაშვილმა განაცხადა, რომ ისინი ამ კანონის მიღებას არ დაუშვებენ.

მანვე აღნიშნა, რომ მსგავსი ინიციატივა ხელისუფლებას ჯერ კიდევ 2006 წელს ჰქონდა, თუმცა მაშინ „ლეიბორისტები“ საკრებულოში იყვნენ და ამ წინადადების გატანის საშუალება ხელისუფლებას არ მიეცა.

არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია „ჩვენი უფლებებისთვის“ წარმომადგენლის მაია ხარაძის თქმით, ისინი არ მისცემენ უგულავას საშუალებას, საფლავებზე გადასახადი დააწესონ.

## მედვედევი ცხინვალს ეწვია



**ცხინვალში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი ჩავიდა. ამის შესახებ ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის ინფორმაციისა და ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტი იუწყება.**

მედვედევს ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის ლიდერი ედუარდ კოკოითი დახვდა. შეხვედრა უკვე გაიმართა ე.წ. მთავრობის წევრებთან.

„კომიტეტის“ ცნობით, რუსეთის პრეზიდენტს ცხინვალის ცენტრალურ მოედანზე ქალაქის მოსახლეობა ოვაციებით შეხვდა.

## „გეოლოგიურად“ დაზვერავს

**რუსეთის ფედერაციის ბუნებრივი რესურსების სამინისტრო ე.წ. სამხრეთ ოსეთს გეოლოგიურ დაზვერვაში დახმარებას ჰპირდება. როგორც „რია ნოვოსტი“ იუწყება, ამის შესახებ რუსეთის ბუნებრივი რესურსებისა და ეკოლოგიის მინისტრმა იური ტრუტნევმა განაცხადა.**

— ჩვენ გვაქვს გეოლოგიური ინფორმაცია, რომელიც, შესაძლოა, სამხრეთ ოსეთის მთავრობას გადაეცეს. მათ ამის შესახებ გვთხოვეს და მივიღებთ ზომებს, რომ სამხრეთ ოსეთმა აღნიშნული ინფორმაცია მიიღოს, — აღნიშნა რუსმა მინისტრმა.

მისივე თქმით, ე.წ. სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებამ რუსულ მხარეს მიწის წიაღის ერთობლივი გეოლოგიური გამოკვლევა შესთავაზა.

ტრუტნევის ცხინვალში 9 ივლისს იმყოფებოდა, სადაც ცხინვალის რეჟიმთან თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება გააფორმა.

**ინტერპრესნიუსი**

კვირის სარკეში

# მინიშნებები მინიშნებებზე

**ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის ფედერაციის, ორი ზესახელმწიფოს, პრეზიდენტების შეხვედრა მართლაც ისტორიული მოვლენაა, თუმცა, გასულ კვირაში მოხდა ისეთი რამ, რითაც საბოლოოდ გვირგვინი დაედგა საქართველოში „ვარდების რევოლუციით“ ნაშობი ხელისუფლების დიქტატორულ რეჟიმად ჩამოყალიბების პროცესს.**

## მიშას ხალხს – მიშას კვერცხები!

საქართველოს ყველა მოქალაქეს, წესით, უნდა უხაროდეს, რომ 2009 წლის ივლისის პირველ ნახევარში გაიხსნა საპრეზიდენტო სასახლე — თბილისში, ავლაბარში, ისტორიულ ცენტრში, ყოფილი საგზაო მილიციის სამმართველოს შენობაში.

ეს გახლავთ მართლაც გრანდიოზული ნაგებობა, რომლის მსგავსი ადმინისტრაციული დანიშნულების შენობა საქართველოში არასდროს არ არსებულა, თვით „ოქროს ხანაშიც“ კი!

სამწუხაროდ, ქართული საზოგადოება ამ უმნიშვნელოვანეს კულტურულ მოვლენას დიდი სიხარულით არ გამოხმაურებია. მაინცდამაინც დიდი თავგამოდება არც ხელისუფლებას გამოუჩენია — 800 მილიონ დოლარად შეფასებული (მხოლოდ მშენებლობა!) პრეზიდენტის კვერცხგუმბათოვანი სასახლე ისე გაიხსნა, როგორც სამკერვალო „ცეხი“ ხელვაჩაურის რაიონში. თავმდაბალი პრეზიდენტი თავისი მშიერი ხალხის გაღიზიანებას თუ მოერიდა.

პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენცია არის ტოტალიტარული რეჟიმის უცხადესი მატერიალური გამოხატულება. ამით მიხეილ სააკაშვილმა თავის ხალხს გარკვევით უთხრა: მე, პრეზიდენტ სააკაშვილს, თქვენ, ქართველი ხალხი, ფეხებზე, უკაცრავად, კვერცხებზე მკიდიხართო, ავიშენებ სასახლეებს ავლაბარშიც, შავნაბადაზეც, ბორჯომშიც, ბობოყვათშიც, წინანდალშიც, ზუგდიდშიც და, თუ დამჭირდა, მესტიაშიც! ვიყიდი თვითმფრინავებს და მილიონიან დაჯავშნულ ლიმუზინებს, გამოვიწერ მსოფლიო დონის „მასაჟისტებს“ და მოვიწყობ ორგიებს, თათბირებსაც საწურავებზე ჩავატარებ და მინისტრებსაც რასაც მინდა, იმას გავაკეთებინებ... თქვენ კიდე — უსახო, უპიროვნო და უაზრო ბრბოს — ტაშს გაკვრევინებთ და „მიშა მიშას“ გაძახებინებთ...

გასულ კვირაში მოხდა კიდევ ერთი ფაქტი, რაც აგრეთვე პრეზიდენტის მიერ ძალაუფლების სრულ უზურპაციაზე მიანიშნებს. საუბარი ეხება კონკორდატს — შეთანხმებას სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის საკონსტიტუციო შესწორების თანახმად, ამიერიდან ეკლესიასთან კონკორდატს გააფორმებს არა სახელმწიფო, არამედ პრეზიდენტი. ამით გაიგივდა ორი ცნება — „პრეზიდენტი“ და „სახელმწიფო“, ანუ პრეზიდენტი სააკაშვილი არის სახელმწიფო (საქართველო)! ამავე დროს, დაკნინდა ეკლესიის, მთლიანად მრევლის მნიშვნელობა — ამიერიდან მისი ბედი არა ღმერთზე და ეკლესიაზე, არამედ პრეზიდენტ სააკაშვილზე ჰკიდია. ეს ძალიან, ძალიან სახიფათო თამაშია.



რა თქმა უნდა, იმის იმედი არა მაქვს, რომ ამ სიტყვების წაკითხვის შემდეგ პრეზიდენტს სინდისი შეაწუხებს ან რომელიმე მურთაზ ზოდელავას თავში რამე საღი აზრი გაიფაჩუნებს. ამას ისტორიისთვის ვამბობ, მერე, ოდესმე, ჩვენმა შთამომავლობამ რომ არ იფიქროს, XXI საუკუნის დასაწყისის ქართველობა ყველა ერთნაირად შეშინებული და დეგრადირებული ყოფილაო.

ისე, ძმებო, მართლა არ გაინტერესებთ, საიდან ჩნდება მილიარდები პრეზიდენტის ხუშტურების დასაკმაყოფილებლად?!

იხ. 4 გვ.

ვითარება

# მამა ნახე (ბიძაც ნახე), შვილი ისე გამონახე!

**ვისი აგენტია გაგა გაჩეჩილაძე და რატომ არ მოსწონს მას ხელისუფლების ნაძენი „ჩაშვების“ ინსტიტუტი**

**გასულ კვირას ლევან გაჩეჩილაძის ვაჟი გაგა გაჩეჩილაძე დაუჭერიათ, და თანაც სად? — რესტორან „მატრიოშკაში“ (!!!), სადაც ოპოზიციის ამ ერთ-ერთი ლიდერის შვილი თავის დაბადების დღეს აღნიშნავდა.**

ახლა ბევრი ეცდება ამ, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი ჩხუბისთვის პოლიტიკური იარლიყის მიწებებას.

საავადმყოფოში მიყვანილ გაგას, გასაგები მიზეზების გამო, საკუთარი ვინაობის დამალვა უცდია და ექიმებს მლებრიშვილის გვარით გასცნობია, მაგრამ, როგორც ჩანს, არ ეძინათ სახელისუფლებო ტელევიზიებს, რომლებმაც არა თუ დაჭრილის ნამდვილი ვინაობა დაადგინეს, ერთ-ერთმა არხმა ისიც გვამცნო, დაკითხვაზე დაზარალებულმა ჩხუბის ფაქტი საერთოდ უარყო — დავეცი და ჭრილობა ამით მივიღეო.



ამაზეა ნათქვამი, „კვიცი გვარზე ხტისო“. მიხარია, რომ გაგა გაჩეჩილაძე არავის „ჩაშვებას“ არ აპირებს. ჯერჯერობით მაინც და იმის მიუხედავად, რომ, თუმცა ხელისუფლების პროპაგანდა ნიადაგ გაიძახის, ქალაქელობა, უბნელობა წარსულის მავნე გადმონაშთიაო და, აქედან გამომდინარე, მთელი ქართველობა ვანოს ნომრიან-უნომრო აგენტი უნდა იყოს, როგორც ჩანს, უმცროსი გაჩეჩილაძისთვის, მამისა და ბიძის დარად, ძვირფასია ის, რასაც „ნაცები“ წარსულის მავნე გადმონაშთს უწოდებენ...

რატომ დავსვი წერილის დასაწყისში „მატრიოშკას“ შემდეგ სამი ძახილის ნიშანი? იმიტომ, რომ ახლა მაინც ხომ ირწმუნებენ სკეპტიკოსები, რომ მთელი ოპოზიცია თუ არა, „ბრეჩიხები“ (უფროს-უმცროსიანად) მაინც ნაღდად რუსეთის აგენტები არიან?

მით უფრო, რომ სარწმუნო წყაროს ინფორმაციით, რუსულ რესტორან „მატრიოშკაში“ ამ ქეიფის დანახარჯი კახა თარგამაძეს გადაუხდია ისევე, როგორც თბილისში მიმდინარე აქციებს აფინანსებს. აქედან გამომდინარე, ისიც სარწმუნოდ მოჩანს, რომ ლევან გაჩეჩილაძის ინიციატივით დაარსებულ საზოგადოებრივ მოძრაობასაც, რომლის საპატიო თავმჯდომარეც კაგებეს ცნობილი აგენტი (დიდი ხანი იჯდა რუსეთში) ჭაბუა ამირეჯიბია და წევრებიც ისეთივე ცნობილი აგენტები არიან, როგორებიც გახლავან ნონა გაფრინდაშვილი, რობიკო სტურუა, ჯანსუღ ჩარკვიანი და კიდევ სხვა მრავალი ქალბატონი თუ ვაჟბატონი, კახა თარგამაძე აფინანსებს.

**დავით მხეიძე**

## ანალიზის ცდა

# „ასი დღე ბავშვობის შემდეგ“

**მკითხველთა უმრავლესობას, ალბათ, ეცნო ცნობილი საბჭოთა ფილმის სათაური, რომელიც გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში გამოვიდა ეკრანებზე და არსებული რეალობის მიმართ მისი გმირების ბავშვურ და გულუბრყვილო დამოკიდებულებას ეხებოდა.**

როდესაც მორიგი საინფორმაციო მიტინგის მიმდებარე ტერიტორიაზე (პრინციპში პარლამენტის წინა ადგილი, მთლიანად „მიტინგის მიმდებარე ტერიტორია იყო“ძ, აქციების დაწყებიდან გასულ ას დღეზე ვსაუბრობდით, ერთმა ჩემმა მეგობარმა მწარე ირონიით კიდევ ერთი იტალიური ფილმი „ასი დღე პალერმოში“ გაიხსენა.

ამ შედარებაზე ყველას გაგვეცინა, მაგრამ თითქოს დირიჟორის ჯოხის აქნევას დავემორჩილეთო, მოულოდნელად ყველანი გავჩუმდით. გავჩუმდით, რადგანაც უცებ „მარტოობის ასი წელიწადი“ გაგვახსენდა და მიუწვდომელ ოცნებად დაიხატა ის „ასი დღე, რომელმაც შეძრა სამყარო“.

ბევრს აღარ გავაგრძელებ ციფრი ასის გარშემო ნუმეროლოგიური „წიაღსვლების“ კეთებას. ეს „საქმე“, ლელა კაკულიას „არენიდან წასვლის“ შემდეგ, ზურთ და მოედანდარჩენილი თბილისელი, გარდაბნელი თუ რიგელი მჩხიბავებისთვის მიმინდვია. მე ჩვენს საერთო პრობლემას დავუბრუნდები და გასულ შაბათ-კვირას განვითარებულ მოვლენაზე გავამახვილებ, სიცხისგან ოდნავ მოდუნებულ, თქვენს ყურადღებას.

თუ ამ წერილის სათაურიდან ვიმსჯელებთ, მართლაც ასი დღე გავიდა იმ „ბავშვობის“ შემდეგ, როდესაც საქართველოს მოსახლეობის საკმაოდ დიდმა ნაწილმა, ჩათვალა, რომ საქართველოში არსებობს ოპოზიცია, რომელსაც შეუძლია გააერთიანოს ის უამრავი პრობლემა, რომელიც დღევანდელმა ხელისუფლებამ თავს დაატეხა ჩვენს ქვეყანას, დარაზმოს ხალხი ამ რეჟიმის წინააღმდეგ, დადგეს მათ გვერდით და უდრეკი ნებისყოფით მოითხოვოს რადიკალური ცვლილებები.

მართლაც რომ ბავშვებივით გულუბრყვილოები ვართ ქართველები.

მიუხედავად იმისა, რომ მეც თქვენსავით გულუბრყვილო და ერთი რიგითი ქართველი ვარ, მაინც არ მჯერა, არც ქალბატონი გუგული მაღრაძის პოლიტიკოსობის და არც მისი და მისი რანგის ორატორთა მიერ გადარჩენილი საქართველოსი.

არადა ამ ბოლო დღეებში, განსაკუთრებით მე-60 დღიდან დაწყებული, პარლამენტის წინ დადგმული სცენა, პოლიტიკოსთა სამჭედლოდ იქცა (ადრე ტრიბუნა ერქვა, მაგრამ კვირას, ჩემი არ იყოს, მიტინგის სპიკერმა, ერთ-ერთმა პოეტმა ქალბატონმაც სცენა უწოდა და მე რა უფლება მაქვს, არ დავეთანხმო უამრავი ადამიანის გულთა მპყრობელსძ.

კარგით რა ხალხო! კარგით რა!

არ მინდა დღევანდელი ოპოზიცია 80-იანი წლების მიწურულის იმ ქართულ ოპოზიციას შევადარო, რომელიც დედამიწის ზურგზე უდიდეს ტოტალიტარულ სახელმწიფოს უპირისპირდებოდა.

ამიტომ ქართულ ფეხბურთს შევადარებ.

მოდით, ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე პირდაპირ ვიტყვი:

80-იან წლებში ხალხი იმ დიდი ფეხბურთელების სანახავად დადიოდა სტადიონზე, რომლებსაც გოლის გატანა, რომლებსაც ლამაზი თამაში და რომლებსაც გამარჯვების მოტანა შეეძლოთ.

დღეს ვის სანახავად იარონ?

ამიტომ ნურავინ ნუ იტყვის დანანებით, ზაფხულია, შაბათ-კვირაა და მუხტი ოდნავ დაეცაო.

შაბათ-კვირა, თორემ პარასკევს ხომ გადაპენტილი იყო რუსთაველი.

არც დღევანდელი ოპოზიციაა ნაპოლეონი და არც სააკაშვილია კუტუზოვი, რომ გამარჯვება-დამარცხების საკითხში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰაერის ტემპერატურას ან ნალექების რაოდენობას ჰქონდეს.

თუ ვინმე ვერ ხვდება, რა არის გადამწყვეტი პოლიტიკური ბრძოლის დროს, მაშინ უმჯობესია, ტელევიზორს მიუჯდეს, იმე-



დის არხზე, პარასკევობით, სულელური გადაცემა „ქალები თუ კაცები“, რომ გადის, იმას უყუროს და ბაიდენის ჩამოსვლას დაელოდოს.

ბაიდენზე გამახსენდა:

ხელისუფლებაც, ოპოზიციისა არ იყოს, ბაიდენის დასახვედრად ემზადება და მილიონი სამუშაო ადგილის ნაცვლად (არ გაგიკვირდეს, ძვირფასო მკითხველო, თავის დროზე, დღევანდელი ხელისუფლების ყველა „ბობოლა“ ამ ლოზუნგს თუთიყუშებივით იმეორებდაძ, მილიონიანი აქციის ჩატარებას აპირებს (ვიღაც გულუბრყვილო კი ყოვლად უსაფუძვლო კითხვას – სად მიდის ბიუჯეტის თანხებიო? სვამს ამ კითხვას და არ წითლდებაძ.

ეგ კი არა და, ბაიდენის ჩამოსვლამდე (ხანდახან ბაიდენის ჩამოსვლის თარიღი, ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისი მგონიაძ, დაჩქარებული წესით „აქციების დამსჯელი კანონების“ მიღებასაც გეგმავენ.

იქიდან გამომდინარე, რომ ამ ხელისუფლებიდან ყველაფერია მოსალოდნელი, შაბათს ჩატარებულ პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე დაჩქარებული წესით განხილული ახალი სადამსჯელო კანონი, სრულიად შესაძლებელია, რომ არც მიიღონ და მერე იტრაბახონ: – აი რა დემოკრატიულნი, ცივილიზებულნი და კაცთმოყვარენი ვართო. გვქონდა კანონი და არ მივიღეთო.

არ გაგიკვირდეს, ძვირფასო მკითხველო. არ გაგიკვირდეს, რადგანაც, დემოკრატიას რომ თავი დავანებოთ, ჩემი აზრით, დღევანდელი ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელსაც, ოდესღაც წაკითხული უნდა ჰქონდეს ოსტროვსკის „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ და მაინცადამაინც არ უნდა სურდეს ციხეების ისეთ „პოლიტიკურ უნივერსიტეტებად“ გადაქცევა, როგორებშიც კომუნისტური პარტიის რევოლუციური კადრები გამოიწვრთნენ.

(არადა ახლა მართლაც არ ვხუმრობძ.

დიდი რუზრუზი და რია-რია იყო ატეხილი ამ დღეებში ავლაბრის სასახლეში. უჰ, უკაცრავად, პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციაში.

უამრავი ბავშვი დადის ექსკურსიაზე.

ზოგს სკოლის მოსწავლეებად ასაღებენ „კურიერები“, ზოგს „საზღვარგარეთ მოღვაწე, წარმატებულ ქართველ ბიზნესმენებად“.

არადა ერთი მაგარი იაღლიში გაეპარა „რუსთავი 2“-ს. ერთ-ერთი ყმაწვილის გამოსვლისას (რომელიც ისეთ წარმატებულ ბიზნესმენად“ დაასახელეს, რომ ბილ გეიტსი გულწრფელად შემეცოდაძ, მის გამოსახულებაზე ტიტრი „სტუდენტიო“ დადეს.

ბევრს არ გავაგრძელებ და ვიტყვი, რომ შაბათ-კვირას ოპოზიცია „ისვენებდა“, ხელისუფლება კი „შრომობდა“.

არადა პირველს ნამდვილად არ ჰქონდა დასასვენებლად საქმე, ხოლო მეორე ვერაფერ სასიკეთოს ვერ აკეთებდა.

ბავშვობის წლები კი საოცრად ნელა გადიოდა.

**გია გაბრიჭიძე**

## „ვივა ვილა-ა-ა!“

# ლიდერი: „ერთი პირის ქირიმე და ბევრი ხელისაო“

**ყოველ საქმეს რომ ხელმძღვანელი, ანუ ლიდერი სჭირდება, ეს აქსიომაა. აქსიომაა ისიც, რომ იგი ერთი უნდა იყოს და არა ათი და ოცი. ყველა არამკითხე უტარო კოვზივით არ უნდა ერეოდეს ხელმძღვანელობაში, უფლება არ უნდა ჰქონდეს, შეუთანხმებლობასა და ქაოსს თესავდეს მასში.**

სწორედ ასეთი ქაოსი სუფევს დღეს ქართულ ოპოზიციაში იმის გამო, რომ მას არა ჰყავს ერთი ლიდერი და არა აქვს მოქმედების ერთიანი პლატფორმა. აქედან იღებს სათავეს მისი დაქსაქსულობა და სისუსტეც. ყველა ლიდერობას იჩემებს, სინამდვილეში კი ლიდერი არავინ არის. ულიდერო ოპოზიცია კი უთავო მხედარს ემსგავსება. თითქოს ყველას ერთი მიზანი აქვს – „სააკაშვილის გადაყენება“, მაგრამ ამ მარტივ საკითხშიც კი საერთო ენა ვერ უპოვიათ და კრილოვის იგავ-არაკის პერსონაჟებივით ყველანი სხვადასხვა მხარეს მიიწევენ. ზოგი თავისთვის ქუჩებს კეტავს, ზოგი რკინიგზას, ზოგი ტელევიზიას, ზოგი კატეგორიული წინააღმდეგია ხელისუფლებასთან დიალოგისა, ზოგი ზოგის დაუკითხავად „დიალოგზე“ მიდის მასთან, აღარაფერს ვამბობთ ზოგ-ზოგების თვითმადისკრედიტებელ ქმედებებზე, რასაც მშვენივრად იყენებს და თითზე იხვევს ხელისუფლება. ერთი სიტყვით, ოპოზიცია კი არა, დომხალია. ყველაზე უარესი კი ის იქნება, რომ იგი, ძველი ნაცნობი „მართული ქაოსის“ მსგავსად, მართული დომხალი აღმოჩნდეს. სწორედ ამაზე მიანიშნა ბ-ნმა ზურაბ ბიგვავამ (თუ გვარი არ მეშლებაძ „მაესტროს“ 5 ილისის გადაცემაში, „ორგანიზებული არაორგანიზებულობა“ რომ უწოდა.




ოპოზიციის ლიდერთა უცნაურობა ის არის, რომ მათ არათუ არ ანაღვლებთ თავიანთი დაქსაქსულობა, არამედ, პირიქით, თავიც კი მოსწონთ ამით. ერთ-ერთი ლიდერის სალომე ზურაბიშვილის გაგებით, მაგალითად, „არაფერი განსაკუთრებული და საგანგაშო არ არის, რომ ოპოზიციაში ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა აზრია. ეს ჩვეულებრივი პროცესია. ერთიანი აზრები და ერთნაირი ღიმილი მხოლოდ პოლიტბიუროში ჰქონდათ“... ზუსტად იმავე აზრისაა მეორე ლიდერი ეკა ბესელიაც: „ის ფაქტი კი, რომ განსხვავებული ხედვები არსებობს, ძალიან კარგია. ღმერთმა არ ქნას, რომ ჩვენ „ნაციონალური მოძრაობის“ მსგავსად „ერთსულოვნები“ ვიყოთ და მათსავით ვაზროვნებდეთ“.

მაპატიონ ქალბატონებმა, მაგრამ ამაზეა ნათქვამი: „გაუგია, ალია მომკვდარაო, მაგრამ ის კი ველარ გაუგია, რომელი ალიაო“. „სხვადასხვა აზრს“ თუ „განსხვავებულ ხედვებს“ სხვადასხვა დრო და ადგილი აქვს: სხვადასხვა აზრი კარგია გადაწყვეტილების მიღებამდე, რადგან „კამათში იბადება ჭეშმარიტება“; მაგრამ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, სხვადასხვა აზრს ერთი პირი სჯობია, რადგან ერთი პირი აერთიანებს და აძლიერებს ოპოზიციას, სხვადასხვა აზრი კი ქსაქსავს და ასუსტებს მას. სხვადასხვა აზრების დანიშნულება კი ის არის, რომ ბოლოს ყველანი ერთ ჭეშმარიტებასთან მივიდნენ, რომ ადამიანებმა მოახერხონ გაერთიანება, და არა ის, რომ ყველანი მუდმივად თავ-თავის ცდომილებაში დარჩნენ, ერთმანეთისაგან განსხვავებულნი და გათიშულნი. ასეთი განსხვავებული აზრები ყოველგვარ აზრს ჰკარგავს. თუმცა რად უნდათ „სხვისი“ ჭეშმარიტება, როცა „ყველას თავისი ჭეშმარიტება აქვს“?!

ხელისუფლებას, ცხადია, ხელს აძლევს ოპოზიციის არაორგანიზებულობა. იგი სულ იმის ცდაშია, რომ გათიშოს ოპოზიცია და იმედი გაუცრუოს საზოგადოებას მის მიმართ. ამიტომ ყველა, ვისაც განხეთქილება შეაქვს ოპოზიციის ერთიანობაში, ნებსით თუ უნებლიეთ, ხელისუფლების წისქვილზე უშვებს წყალს. ამგვარი საეჭვო მოქმედებით განსაკუთრებით გამოირჩევა ახლად გაოპოზიციონერებულ-გალიდერებული ირაკლი ალასანია. ამის გამო იყო, რომ ცნობილმა რეჟისორმა გიორგი შენგელაიამ მას „მეთიუ ბრაიზას პერსონაჟი“ უწოდა და დასძინა, „ალასანია ოპოზიციის ლიდერი არ არისო“. სალომე ზურაბიშვილმა თავის მოვალეობად ჩათვალა გამოქომაგებოდა ბ-ნ ირაკლის: „ალასანია ახალი ჩამოსულია და ის ილუზიები აქვს, რაც მე მქონდა. გაგახსენებთ, რომ თავიდან ჩემზეც კონსტრუქციულიაო ამბობდნენ და სააკაშვილთან არის შეკრულიო. იმავეს უკეთებენ ალასანიას. პრობლემა არ არსებობს. მას თავისი გზა აქვს გასავლელი, თავისით მიხვდება ბევრ რამეს და ეს გასაგებია ჩემთვის. ის არ არის თარგამაძე და არც არასდროს იქნება“.

იხ. 4 გვ.

## „ვივა ვილა-ა-ა!“

# ლიდერი: „ერთი პირის ქირიმე და ბევრი ხელისაო“

(მესამე გვერდიდან)

ყველას თავისი გზით გაუმარჯოს და კარგი იქნება, თუ მიხვდება. მაგრამ სანამ მიხვდება, კარგს იზამდა, დროებით თავი დაენებებინა პოლიტიკისათვის, რადგან პოლიტიკა მიუხვედრელების საქმე არ არის. ხოლო თუ პოლიტიკას ვერ დაანებებს თავს, იქნებ ოპოზიციისთვის მაინც დაენებებინა თავი, რადგან თავისი შეუთანხმებელი მოქმედებით ცუდ სამსახურს უწევს მას. რაც შეეხება თარგამაძესთან შედარებას, უადგილოა: ეს უკანასკნელი ოპოზიციისადმი მიტმასნით არ შესულა პარლამენტში, სხვა გზით (ავი ენები ამბობენ, შინაგან საქმეთა სამინისტროს გზითძ შევიდაო. ოპოზიციისადმი მიტმასნით თორთლაძე შევიდა. ამ აზრით, უფრო ლოგიკური იქნებოდა, ქ-ნ სალომეს ბ-ნი ირაკლი თორთლაძისთვის შეედარებინა, რადგან ისიც ოპოზიციას იყენებს ტროას ცხენად პრეზიდენტის სავარძლის ხელში ჩასაგდებად. განსხვავება უბრალოდ ის არის, რომ თორთლაძეს პრეზიდენტობის პრეტენზია არა აქვს, უბრალოდ ფული სჭირდებოდა და პარლამენტარის ხელფასმა აცდუნა, რაც ადამიანურად გასაგებია. ალასანიას კი პრეზიდენტობის პრეტენზია აქვს. ამ აზრით, შესაძლოა, გამართლებული იყოს თარგამაძესთან შედარება: ეს ახალგაზრდა შევარდნაძეც (თარგამაძე, თავისი კარიერისტული მონაცემებით, კომკავშირელ ედუარდს მოგვაგონებსძ პრეზიდენტობას უმიზნებს, ოღონდ, ალასანიასგან განსხვავებით, უფრო მომთმენი ჩანს და თვინიერად ელოდება სააკაშვილის დაპირებულ 2013 წელს... მაგრამ ბ-ნი გიორგის მთავარი „მორალური“ უპირატესობა მაინც ის არის, რომ იგი ოპოზიციას (არასაპარლამენტოსძ არ იყენებს ამისათვის.

ისე, ცუდი არ იქნებოდა, ოპოზიციას თავისი რიგებიდან გაერიცხა ის ვაილიდერები, რომლებიც დაუპირისპირდებოდნენ და გაემიჯნებოდნენ ცენტრის აზრს. ამით თავიდან იქნებოდა აცილებული მომავალში „თორთლაძის ფენომენიც“. თორემ რა გამოდის, ყოველი უპროგრამუწევრებო „პარტიის“ ლიდერი ოპოზიციის ლიდერად იცხადებს თავს და მერე ისეთი რიხით ემიჯნება მას და საკუთარ „ოპოზიციას“ ქმნის, ვითომც აქ არაფერიაო. სათანადო წესდება რომ არსებულიყო, ბ-ნი გიორგი (თორთლაძეზეა საუბარი, თორემ თარგამაძეს რა დაიჭერდაძ, „გაერთიანებულ ოპოზიციას“ ტროას ცხენად ვერ გამოიყენებდა პარლამენტში შესასვლელად. თუმცა პარლამენტს ვინ ჩივის, ტროას ცხენის მხედარი პრეზიდენტის სავარძელზე არ შეჭენდეს.

გავრცელებულია მცდარი აზრი, თითქოს ერთი ლიდერის არსებობა მის გაბელადებას უწყობს ხელს, რაც ბელადის ცნების არასწორ ინტერპრეტაციაში იღებს სათავეს. ბოლო დროს მომრავლებული ცრუბელადების გამო, სიტყვა „ბელადმა“ უარყოფითი მნიშვნელობა შეიძინა. მაგრამ უარყოფითია ავტოკრატიული თვითმარქვია და არა ავტორიტეტული ბელადი, რომელიც თავისი სალი აზრისა და ლოგიკის წყალობით, ბუნებრივად გამოხატავს ხალხის სულისკვეთებას. ილია ჭავჭავაძესაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადს ვუწოდებთ, მაგრამ ეს არავითარ უხერხულობას არ იწვევს. უარყოფითია ბელადომანია, „პარტიებივით“ მომრავლებულ „ლიდერებს“ რომ სჭირთ და ხელს უშლით ერთმანეთთან გაერთიანებაში და ერთიანი სამოქმედო თუ სამომავლო გეგმა-პლატფორმის ჩამოყალიბებაში. ამრიგად, ლიდერი თუ ბელადი ყველა საქმეში აუცილებელია, მაგრამ, ვიმეორებთ, იგი ბუნებრივად უნდა მოგვევლინოს, თავისი გონიერებისა და ზნეობრიობის წყალობით, რათა გააერთიანოს და დარაზმოს ადამიანები ნათელი და საერთო მიზნის მისაღწევად. სწორედ ასეთი ბუნებრივი ლიდერი მოგვივლინა ღმერთმა, უწმინდესისა და უნეტარესის, კათოლიკოს-



პატრიარქის ილია მეორის სახით, რომელსაც ძალუძს ისეთივე გონიერებითა და ღირსებით იღვაწოს საერო ასპარეზზე, როგორი გონიერებითა და ღირსებითაც იღვწის სასულიერო ასპარეზზე. აი, ვის შესწევს ძალა იხსნას საქართველო დაღუპვისაგან!

საერთაშორისო სამართლისა და ადამიანის უფლებათა საქვეყნოდ აღიარებულმა სპეციალისტმა, პროფესორმა ბიძინა სავანელმა, ქვეყნის მძიმე მდგომარეობიდან მშვიდობიანად გამოსაყვანად ბრწყინვალე იდეა წამოაყენა: საქართველოს მოსახლეობამ მასობრივ მიტინგებზე გამოხატოს თავისი ურყევი და სამართლიანი ნება და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე გარდამავალ პერიოდში საქართველოს პრეზიდენტის რანგში სახელმწიფოს მეთაურად სცნოს (პრეცედენტი: კვიპროსის კათოლიკოს-პატრიარქი მაკარიოსი ძნელბედობის ჟამს ქვეყნის მეთაური გახდაძ და ეთხოვოს მას, „შექმნას დროებითი კოალიციური მთავრობა, დანიშნოს და გაერო-ეუთოს უშუალო მონაწილეობით უზრუნველყოს გაუყალბებელი, თავისუფალი და სამართლიანი საპარლამენტო არჩევნები, და იმოქმედოს საქართველოს კონსტიტუციასთან და ადამიანის უფლებათა ბილთან სრულ შესაბამისობაში“ („საქართველოს რესპუბლიკა“ 03.07.09ძ.

**ომარ ხახაშვილი.**
**ბელგიის მოქალაქე.**

*P. S. ომისშემდგომ წლებში საბჭოთა ეკრანებზე გადიოდა ცნობილი ამერიკული ფილმი „ვივა ვილა!“ (საბჭოთა ვერსიით, „თავისუფლების არმიის კაპიტანი“). იგი ეხებოდა მექსიკელი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლას დიქტატორ პორფირიო დიასის წინააღმდეგ. ბრძოლის ველზე ხალხის არმიას წინამძღოლობდა პანჩო ვილა, ხოლო იდეური ბელადი და თავისუფლებისათვის ბრძოლის სულისჩამდგმელი იყო ფრანსისკო მადერო. ვილამ იცოდა, როგორ ებრძოლა, მაგრამ არ იცოდა, როგორ მოეწყო ქვეყანა გამარჯვების შემდეგ. ეს იცოდა მადერომ, რომელსაც ნათელი გეგმა და კონცეფცია ჰქონდა. ფილმის ფინალში, როგორც ეს ისტორიულად მოხდა, ხალხი გაიმარჯვებს და აღტაცებული ოვაციას უწყობს გმირ კაპიტანს: „ვივა ვილა-ა-ა!“ ვილა ხელის აწევით აჩერებს ხალხს და შეუსწორებს: “არა! ვივა მადერო!“*

*აი, მაგალითი ოპოზიციის ლიდერებისთვის!*

*ო.ხ.*

## კვირის სარკეში

# მინიშნებები მინიშნებებზე

(მეორე გვერდიდან)

### ჩვენ გავიმარჯვეთ!

**ობამა-მედვედევის შეხვედრების შესახებ ბევრი რამ, ალბათ, საუკუნო საიდუმლოდ დარჩება.** თუმცა, ვიცით, რომ თანამედროვე მსოფლიოს მეთაურებმა ისაუბრეს ირანულ პოლიტიკაზე, ჩრდილო კორეულ ატომურ საფრთხეზე, ბირთვული შეიარაღების შემცირებაზე, მსოფლიოს მშიერი ხალხების გამოკვების პერსპექტივებზე, ერთობლივ სამეცნიერო პროგრამებზე, სომალელ ლტოლვილებზე და რაღაც-რაღაცეებზე. როგორც ქართველი პოლიტიკოსები ერთხმად და აღტაცებით საუბრობენ, პრეზიდენტ მუჰამედ ბარაქ ობამას იმ საჯარო და საიდუმლო შეხვედრებზე კიდევ თურმე „გაუკეთებია მინიშნებები“, რაც საქართველოს რუსეთზე ტრიუმფული გამარჯვების მომტანია. პრეზიდენტმა სააკაშვილმაც იმ ისტორიულ შეხვედრას გაციება არ აცალა, ისე მოგვახარა, ობამამ მედვედევსა და პუტინს ისეთი რამ „მიანიშნა“, ამიერიდან რუსეთი ომს დაგვიწყებს კი არა, უპატრონოდ ხმასაც ვერ გაგვცემსო. თანაც, ჩვენი საერთაშორისო პოზიციები დღეს ისე მტკიცეა, როგორც არასდროსო.

ღმერთმა ინებოს, ჩვენი პრეზიდენტის და მისი „ჩვენი გუნდის“ სიზმრები კეთილად აცხადებულიყოს. საქართველოს კი მის ისტორიულ და მარადიულ მეზობელ რუსეთთან ბრძნული, მოქნილი და მოზომილი პოლიტიკა რომ სჭირდება, ამას წყალი არ გაუვა.

### ნუ მოატყუებთ პრეზიდენტს!

**არც ერთ ეპოქაში და არც ერთ სახელმწიფოში, საბოლოოდ, კანონის გამკაცრება-გასასტიკებას სასურველი შედეგი არ მოუტანია.** პირიქით, კანონის გამკაცრებას, როგორც წესი, მოსდევს დანაშაულის მკვეთრი ზრდა. შემიძლია სრული დარწმუნებით ვივარაუდო, რომ მანიფესტაციების შესახებ კანონის გამკაცრებასაც, რაზეც გასულ კვირაში პარლამენტი მსჯელობდა, როგორც გარდაუვალი შედეგი, მოჰყვება უმწვავესი დაპირისპირება ხელისუფლებასა და მოქალაქეებს შორის. ამ საკანონმდებლო ცვლილებების „ევროპული სტანდარტებით“ გამართლება ძალიან წააგავს შეშინებული სირაქლემას პოზიციას. როცა ხელისუფლებას საკუთარი მოქალაქეების დასარწმუნებლად ძალადობის გარდა სხვა არგუმენტი არ რჩება, ეს ხელისუფლების უსუსურობაზე მიუთითებს. ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში „მანიფესტაციების შესახებ“ კანონი ქართულთან შედარებით მართლაც მკაცრია, მაგრამ იმ ევროპულ ქვეყნებში მოქალაქეთა უფლებები ქართულთან შედარებით განუზომლად უკეთ არის დაცული. სხვა სიტყვებით, იმ ქვეყნებში აღნიშნული და ყველა სხვა „მკაცრი“ კანონი ემსახურება მოქალაქეთა უსაფრთხოებას და მათ უფლებათა რეალიზაციას, ჩვენთან – მოქალაქეთა დაშინების და ხელისუფლებისთვის ძალაუფლების შენარჩუნების სურვილს. განსხვავება კოლოსალურია. აქედან გამომდინარე, კანონების გამკაცრება საქართველოში შექმნის არა „სტაბილურ ვითარებას“, არამედ დაუოკებელი პროტესტის გარემოს, რასაც ვერავითარი კანონმდებლობა (გნებავთ ჰუმანური, გნებავთ – დრაკონულიძ ვერ დააშოშმინებს.

ხოლო ისინი, ვინც პრეზიდენტს კანონის გამკაცრებას ურჩევენ, ბავშვივით ატყუებენ მას – პასუხისმგებლობა ეკისრება პრეზიდენტს და არა რომელიმე ზოდელავას.

### „დაიცავი საქართველო“

**ასე ჰქვია საზოგადოებრივ გაერთიანებას, რომელიც შექმნა ოპოზიციის ერთ-ერთმა რეალურმა ლიდერმა ლევან გაჩეჩილაძემ.** გარდაიქმნება თუ არა ეს მორიგი „საზოგადოებრივი“ პოლიტიკურ პარტიად, მომავალი გვიჩვენებს. ისე კი, თავის დროზე, შევარდნაძის „მოქალაქეთა კავშირიც“ და თვით სააკაშვილის „ნაციც“ საზოგადოებრივ მოძრაობებად ჩამოყალიბდა. თუ სალომე ზურაბიშვილს, გია თორთლაძეს, გია ცაგარეიშვილს, ჯონდი ბაღათურიას და თვით ზურაბ გაგნიძესაც კი ჰყავთ, ერთ-ერთმა ყველაზე რეიტინგულმა ოპოზიციონერმა პოლიტიკოსმა რა დააშავა, რომ საკუთარი პარტია არ ჰყავდეს?

თუმცა, ხელისუფლება გაჩეჩილაძის ამ უწყინარმა გადაწყვეტილებამ საკმარისზე მეტად შეაშინა. ჯერ იყო და, სადღაც გაჩეჩილაძის შთამბეჭდავი ფიგურის უკან, ყოფილი შს მინისტრის, კახა თარგამაძის სილუეტის ძებნა დაიწყო. ოდნავ მოგვიანებით



კი პარლამენტის თავმჯდომარე ბაქრაძის პირით ხელახლა დაილოგზე ალაპარაკდა. ნაცების მთავარი დამრტყმელი იდეოლოგიური ჯგუფის (გოკა გაბაშვილი, მურთაზ ზოდელავა, პეტრე ცისკარიშვილი...ძ ირონიული (ოღონდ, უკბილოძ კომენტარების საგნად იქცა ფული, რომლითაც, შესაძლოა, დაფინანსდეს ახალი „მოძრაობა“.

ისეთმა გამოზრძმედილმა პოლიტიკოსებმა, როგორებიც ბატონები გოკა, მურთაზი, განსაკუთრებით – პეტრე და სხვები ბრძანდებიან, წესით, უნდა იცოდნენ, რომ ფულის წარმომავლობა დიახაც მნიშვნელოვანია, ოღონდ, მთავარი სხვა რამეა. კერძოდ, იმის გარკვევა, რატომ ჩნდება საზოგადოებაში ხელისუფლებისადმი მძაფრი პროტესტი, როგორ უნდა მოიგო საკუთარი მოქალაქეების გული, როგორ არ უნდა შექმნა პრობლემა და ა. შ.

რაც შეეხება ფულს, მისი შოვნა ლეგალური თუ არალეგალური გზით, ყოველთვის შეიძლება. ბოლოსდაბოლოს, ამაში დასარწმუნებლად თვითონ ნაციონალური მოძრაობის და მისი „ვარდების რევოლუციის“ გამოცდილებაც საკმარისია.

### სანიკიძის ბოიკოტი

**გასულ კვირაში კიდევ ერთი, ჩემი აზრით, შემაშფოთებელი ტენდენცია გამოიკვეთა. მისი ავტორი ფორუმელი გუბაზ სანიკიძე გახლავთ.** გულზე ხელი დავიდოთ, ბატონი გუბაზი საკმაოდ პოპულარული კაცია და მის სიტყვას საზოგადოების ერთ ნაწილზე გავლენა მართლაც აქვს. სწორედ ეს ბატონი გუბაზი მრისხანედ ბრძანებს, ვინც ამ ხელისუფლების მიერ დანიშნულ არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს (ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს გულისხმობსძ, ერის მოღალატედ უნდა გამოცხადდესო.

თავისთავად, არჩევნების ბოიკოტისკენ მოწოდება კი არ არის შემაშფოთებელი, შემაშფოთებელია ამ არჩევნებში პოტენციური მონაწილეების, ათი ათასობით ადამიანის, ერის მოღალატედ გამოცხადების იდეა. მივიღებ თუ არა მონაწილეობას რამენაირ არჩევნებში, ეს ჩემი, საქართველოს მოქალაქის უფლებაა და ამის გამო ჩემი ქვეყნის და ერის მოღალატედ შერაცხვის უფლება არავის არა აქვს. მათ შორის, არც გუბაზ სანიკიძეს.

ამ ოციოდე წლის წინათ დასტა-დასტად მტრების და მოღალატეების აღმოჩენის ეპოქა ჩვენ უკვე გავიარეთ. მტრებზე და მოღალატეებზე გამუდმებით ლაპარაკობს დღევანდელი ხელისუფლებაც – იმათზე, ვინც მის პოლიტიკას არ იზიარებს. მაპატიეთ, ამის გახსენება არ მინდოდა, მაგრამ განსხვავებული აზრის შეუწყნარებლობა, ოპონენტების, საერთოდ, საზოგადოების „ჩემიანებად“ და „მოღალატეებად“ დანაწევრება, იაკობინელებს და ბოლშევიკებს რომ თავი დავანებოთ, არის ე. წ. „ზვიადის სინდრომი“. ხოლო რაც ამან კატობრიობას და პირადად ჩვენ, ქართველ საზოგადოებას მოგვიტანა, მგონი, ყველას კარგად გვახსოვს.

ბატონ გუბაზს კი მისმა მართლაც ნიჭიერმა, პატიოსანმა და თავდადებულმა თანამებრძოლებმა ფორუმიდან მეტი სერიოზულობისკენ უნდა მოუწოდონ, რათა ჩვენ, ისედაც უკიდურესად გაღიზიანებულ საზოგადოებას, მისი სიტყვები ფორუმისად არ მოგვეჩვენოს.

**თეიმურაზ ქორიძე**

ჟურნალისტური გამოძიება

*გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ 2009 წლის 6 ივნისს გამოქვეყნდა ჟურნალისტური გამოძიების სააგენტოს „დრო და სივრცე“ მიერ მომზადებული სტატია — „ამბავი აფხაზეთში ტყვედნამყოფი რკინიგზელებისა“, რომელიც მოგვითხრობს სარკინიგზო შეიარაღებული დაცვის სამსახურის თანამშრომლებზე, 1992-1993 წლებში აფხაზეთში რომ იბრძოდნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად და რომლებიც წარდგენილნი იყვნენ სამშობლოს მაღალ ჯილდოებზე, რაც, სამწუხაროდ, დღემდე არ განხორციელებულა, რითაც ილახება რკინიგზელი მებრძოლების მეომრული ღირსება.*

*როგორც სტატიაში იყო აღნიშნული, ეს მებრძოლები დასაჯილდოებლად წარადგინეს 1991-1995 წლებში საქართველოს რკინიგზის უფროსმა რემი ვაშაკიძემ და აფხაზეთის ომის ვეტერანთა საზოგადოების მაშინდელმა თავმჯდომარემ, გენერალ-მაიორმა დავით გულუამ. პირველი კომენტარები სააგენტომ სწორედ მათგან აიღო.*

# სიმართლე არ დაიმალება,

## ანუ ვინ და როგორ ცდილობს აფხაზეთში მებრძოლი რკინიგზელების ღირსების შელახვას

აი, რას აცხადებს **რემი ვაშაკიძე: „ზურაბ მამულაშვილის რაზმის დაღუპული და ცოცხალი მებრძოლები სახელმწიფო ჯილდოებზე ოფიციალურად მე და დავით გულუამ წარვადგინეთ. დღესაც უსიტყვოდ შევასრულებდი აღნიშნულს. რაც შეეხება მათ დაჯილდოებას, არ მახსოვს, შედგა თუ არა... დიდი დრო გავიდა.“**

უდავოა, ბატონი რემისთვის ცნობილი უნდა იყოს, რომ მებრძოლი რკინიგზელები ვახტანგ გორგასლის სხვადასხვა ხარისხის ორდენებით პირველად 1994 წელს დააჯილდოვეს. გაკვირვებას იწვევს, რომ მას არ ახსოვს, დაჯილდოებულთა შორის იყვნენ თუ არა მის მიერ ჯილდოზე წარდგენილი კოლეგები.

იქნებ ბატონ რემის ისიც არ ახსოვს, რომ 1994 წელს თავისი ერთ-ერთი ბრძანებით რკინიგზის შეიარაღებული დაცვის სამსახური გააუქმა და მის ნაცვლად შექმნა რკინიგზის საუწყებო დაცვის სამსახური? ეს მოხდა მაშინ, როდესაც სარკინიგზო ტვირთებს აცილებდა და იცავდა შსს-ს ტრანსპორტის მთავარი სამმართველო და სწორედ ამის გამო რკინიგზის დაცვის სამსახური დაარსების პირველი დღიდანვე განწირული იყო არა მარტო უფუნქციობის, არამედ უხელფასობისთვისაც. და რომ ბრძანებით გათვალისწინებული სახელფასო განაკვეთით უზრუნველყოფაზე სამსახურის კანონიერი მოთხოვნა რკინიგზის ადმინისტრაციამ არც ერთხელ არ დააკმაყოფილა.

ბატონმა რემიმ იქნებ ის მაინც გაიხსენოს, რკინიგზელმა მებრძოლებმა 1994 წელს რომ მიმართეს — რკინიგზას გამოეყო დაღუპულ მებრძოლთა საფლავების კეთილმოწყობისთვის საჭირო თანხებიო, ფაქტობრივად კი მაშინდელი კუპონების სახით გამოყოფილი ფული ერთი მებრძოლის საფლავის მოსაწყობადაც არ კმაროდა! ამ დროს რემი ვაშაკიძემ, „ქვეყნის რკინიგზაზე პირველ კაცობის დროს,“ თავისი „კუპონიანი“ ხელფასით, როგორც დგინდება, აიშენა არაერთი საცხოვრებელი სახლი, შეიძინა დიდი ოდენობის მოძრავი და უძრავი ქონება და გახდა მიწების მფლობელიც, რომლებიც ერთიანად დღესაც ირიცხება მისი და მისი უახლოესი ნათესავების საკუთრებაში.

იქნებ ის მაინც ახსოვს, რომ რემი ვაშაკიძის შესაბამისი განკარგულებით 1994 წელს უმუშევარ რკინიგზელ მეომრებს, რომლებიც გაერთიანდნენ საზოგადოება „მამულიშვილში“, იჯარით გადაეცათ სარკინიგზო ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელი ხიდი, რომელიც მდებარეობს ცენტრალური რკინიგზის სადგურის ტერიტორიაზე, რათა მათ იქ ევაჭრათ, რაც მათი ღირსების, კანონიერი უფლებების შელახვის და მატერიალური ზიანის მიყენების მორიგი საბაბი გახდა. ისინი იძულებულნი გახდნენ, სიმართლის დასადგენად მრავალჯერ მიემართათ სასამართლოსთვის, რაც საბოლოოდ მარცხით დამთავრდა.

ახლა მოვუსმინოთ **დავით გულუას:**

**„ზურაბ მამულაშვილის და მისი რაზმის მეომრების სახელმწიფო ჯილდოებზე წარდგინებას დღესაც, თუ საჭირო გახდება, მოვაწერ ხელს და ეს იმიტომ, რომ ეს ხალხი ღირსია, რათა სამშობლომ არ დაივიწყოს ამ ადამიანთა ღირსეული ღვაწლი, რომელიც უკავშირდება 1992-1993 წლებში აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებს“.**

მაგრამ რითი გაიმართლებს თავს გენერალ-მაიორი დავით გულუა, თუ გაახსენდება, რომ სწორედ მან არ ჩათვალა საჭიროდ, ხელისუფლებისგან მოეთხოვა ოფიციალური განმარტება, თუ რატომ არ არიან დღემდე დაჯილდოებულები გენერალი ზურაბ მამულაშვილი და მისი რაზმის მებრძოლები? პირადი გულგრილობის, შიშის, თუ კიდევ სხვა მიზეზის გამო?

აი, რას ამბობს სტატიის გამოქვეყნების შემდეგ საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარე **ნოდარ ნათაძე,** 1994 წელს საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომისიის თავმჯდომარე.

„მე და ჩემმა თანაპარტიელებმა წავიკითხეთ თქვენი სტატია, რისთვისაც გიცხადებთ უდიდეს მადლობას და ველით გაგრძელებას. განსაკუთრებით ის, რომ ზურაბ მამულაშვილს ომში წაყვანილი ჰყავდა თავისი 14 წლის ვაჟიშვილი — არის კლასიკა“.

ბეთანხმებით, ბ-ნო ნოდარ, თუმცა გთხოვთ, გაიხსენოთ 1994 წელი, როცა თქვენ უმაღლეს ხელისუფლებაში თავდაცვის და უშიშროების კომისიის თავმჯდომარე იყავით და სწორედ თქვენ ზურაბ მამულაშვილს მისი რამდენიმე მებრძოლის წინაშე განუცხადეთ, რომ მათი დაჯილდოება არ შედგა მხოლოდ იმიტომ, რომ რაზმი და მისი მეთაური იყვნენ ტყვეობაში. ამით თქვენ, ფაქტობრივად, გენერალი ზურაბ მამულაშვილი და მისი რაზმი ლაჩრებად შერაცხეთ, და მათი სამშობლოსადმი თავდადებულობა, გამოვლენილი სიმამაცე არაფრად არ ჩააგდეთ.

ამ დროს სწორედ თქვენ, როგორც თავდაცვის და უშიშროების კომისიის თავმჯდომარეს, არ ჩათვალეთ საჭიროდ, შესაბამისი სახელმწიფო სამსახურებთან ერთად გაგერკვიათ რაზმის ტყვეობაში ჩაბარების ყველა ობიექტური და სუბიექტური მიზეზი. შეგახსენებთ, რომ სწორედ გენერალი ზურაბ მამულაშვილი 1989-1993 წლებში იყო სახალხო ფრონტის აქტიური წევრი და ამავე დროს, თქვენთან ერთად იყო ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი, თქვენი კომისიის ერთ-ერთი სამხედრო ექსპერტი.

**გიორგი ბარამიძე,** საქართველოს ამჟამინდელი ვიცე-პრემიერი:

**„იმ დროს მე და პაატა ზაქარეიშვილი, ჩვენი და არა სახელისუფლებო ინიციატივით, და აგრეთვე დაფინანსებით, საერთაშორისო წითელ ჯვართან ერთად ჩავედით გუდაუთაში, სადაც პირადად მე რამდენიმე დღე ვიშიმშილე იმიტომ, რომ ტყვეობიდან გაგვეთავისუფლებინა იქ მყოფი ქართველები, და მათ შორის ზურაბ მამულაშვილი, და მისი რაზმის მებრძოლები. ჩვენ მაშინ არ ვისახავდით მიზნად მათი ტყვეობაში აღმოჩენის მიზეზების გარკვევასა და დადგენას.**

**მე დადებითად ვაფასებ თქვენი სააგენტოს ინიციატივას, ჩატარდეს ჟურნალისტური გამოძიება, რომლის შედეგად საბოლოოდ დადგინდება — არიან თუ არა ღირსნი გენერალი ზურაბ მამულაშვილი და მისი რაზმის მებრძოლები, რომ 1992-1993 წლებში აფხაზეთის ბრძოლებში გამოჩენილი სიმამაცისთვის სახელმწიფომ ისინი დააჯილდოვოს“.**

ახლა ვნახოთ, რას წერს **ალექსანდრე ნოზაძე,** უშიშროების ყოფილი პოლკოვნიკი, 1991-1995 წლებში საქართველოს რკინიგზის უფროსის მოადგილე სარეჟიმო დარგში

**„გაოცებული ვარ, რატომ უარყო და, მით უმეტეს, უპასუხოდ დატოვა 1994 წლის ხელისუფლებამ საქართველოს რკინიგზის იმ დროინდელი პირველი პირის რემი ვაშაკიძის და შსს-ს გენერალ-მაიორ დავით გულუას წარდგინება რკინიგზელი მეომრების დაჯილდოების შესახებ, რომელთა მეთაური იყო გენერალ-მაიორი ზურაბ მამულაშვილი, როდესაც იმ დროს და დღესაც სამშობლოსადმი თავგანწირვით საყოველთაოდ ცნობილი და სამაგალითოდ მისაბაძი იყო. მე მგონი, აქ სხვა რაღაცაშია საქმე... ვიმედოვნებ, რომ თქვენი სააგენტო შეძლებს, გაერკვეს შექმნილ მდგომარეობაში და ჭეშმარიტება დაადგინოს“.**

სააგენტომ კი დაადგინა, რომ მტრის ხელში გადავიდა, ხოლო იქ განლაგებული შეიარაღებული რაზმი ყოველგვარი წინააღმდეგობის გაუწევლად თავისი პირადი შემადგენლობით და შეიარაღებით მტერს ჩაბარდა“.

**„... მე დავუკავშირდი იმდროინდელ აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უშიშროების სამინისტროს შესაბამის სამსახურებს დაზუსტებული ინფორმაციის მიღების მიზნით, რის შემდეგაც მოვახსენე მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ზურაბ ერქვანიას ჩემი მოსაზრება ზურაბ მამულაშვილის და მისი რაზმის წევრების ვახტანგ გორგასლის ორდენებით დაჯილდოებაზე შუამდგომლობისაგან თავის შეკავების შესახებ, რადგანაც ყოველივე ეს ძალიან საეჭვო ვითარებაში მოხდა და ბევრ კითხვის ნიშანს ბადებდა“.**

ზურაბ მეზონიას ამ მოხსენებით ბარათში აგრეთვე აღნიშნულია, რომ ზურაბ მამულაშვილმა და მისმა რაზმმა თავისი მოქმედებით 1992-1993 წლებში აფხაზეთში საბრძოლო ვითარებაში ყოფნის დროს კანონმდებლობით ნაკისრი ვალდებულებები არ შეასრულეს.

ჩვენ მიერ ჩატარებული ჟურნალისტური გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ ზურაბ მეზონიას მიერ შედგენილი მოხსენებითი ბარათი თავისი შინაარსით არ შეესაბამება რეალურად არსებულ ფაქტებს, რომელთა უგულებელყოფით ის შეგნებულად, ტენდენციურად ახორციელებს დასმენას გენერალ ზურაბ მამულაშვილზე და მისი რაზმის მებრძოლებზე. ამავე დროს დასადგენია, რა ამოძრავებდა მას ამგვარი ქმედებების დროს.

ხაზგასმით ვაცხადებთ, რომ თავის მოხსენებით ბარათშიც და უშუალოდ ჩვენთან საუბრის დროსაც ზურაბ მეზონია ვერ ადასტურებს, მიიღო თუ არა შესაბამისი სტრუქტურებისგან დოკუმენტურად ან სიტყვიერად „დაზუსტებული ინფორმაცია“ გენერალ ზურაბ მამულაშვილის და მისი რაზმის საეჭვო ვითარებაში ტყვედ ჩაბარების შესახებ. აბა, როგორ მიიღებდა ის ზურაბ მამულაშვილსა და მის თანამებრძოლებზე ღალატის დასტურს აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრ დავით გულუასაგან, რომელმაც თავად წარადგინა ისინი დასაჯილდოვებლად?



აფხაზეთში მებრძოლ რკინიგზელთა დაჯილდოებას წინ აღუდგა 1994 წელს აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანაშემწე **ზურაბ მეზონია,** აი, რას წერს ის აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს **გიორგი გვაზავას** თავის განმარტებით ბარათაში:

„... კარგად მახსოვს 1993 წლის ივნისში გენერალ ზურაბ მამულაშვილის მიერ მიღებული არაადეკვატური გადაწყვეტილება, რის შედეგადაც ქ. სოხუმს უკანასკნელი ენერგოობიექტიდან — „სოხუმჰესიდან“ მომარაგება შეუწყდა და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული და სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტი

იხ. 9 გვ.

ვაი ყოფისაგან

# ბანკმა ხელფასი დამიყადაღა!

## პრეზიდენტს სატრაბახო არ ელევა

**რას არ გაიგონებ კაცი ამ ადუღებულ ყოფაში, მით უფრო თუ ყვითელი ავტობუსით გიხდება მგზავრობა. მარტო ფერად არ გამოიყურება ყვითლად, ახვალ და უმალ ყვითელ-ყვითელი ამბების მორევში ჩაყურყუმალავდები. გუშინაც შემთხვევით ასეთ საუბარს გადავეყარე:**

— გავიგე, მერაბ, მუშაობა დაგიწყია. გილოცავ, ძმაო, გაფულიანებას.

— რას მილოცავ?

— გაფულიანებას. რა, არ უნდა მომელოცა? ხო ხედავ, ხალხი შიმშილით იხოცება.

— როგორ არ უნდა მოგელოცა, მაგრამ ფული რომ თვალითაც არ მინახავს?

—რატო, ძმაო, თქვენი ფირმა გადახდისუუნაროა?

— ფირმა რა შუაშია, ხელფასს კი მიწერენ, მაგრამ ეგრევე ბანკს მიაქვს.

— აა, ფულს ბანკში აგროვებ?

— არა, დაგროვილ ვალს ვისტუმრებ...

— ვალი როდისღა აიღე?

— შარშან. არ გახსოვს, ბანკები „იაფ კრედიტებს“ რო არიგებდნენ, მაშინ ვიფიქრე, მეც ავიღებ, რაღაც ბიზნესს წამოვიწყებ-მეთქი, მაგრამ, როგორც ახლა ვხვდები, გამაბრიყვეს — არც ბიზნესი გამომივიდა და ვალიც ვალად წამოვიკიდე.

— მოტყუებულხარ, — დაეთანხმა თანამოსაუბრე, — ამ მთავრობის ხელში ვის გამოუვიდა ბიზნესი, რომ შენ გამოგსვლოდა?

— ბიზნესს ვილა ჩივის, ძმაო, მუშაობა რომ დავიწყე, სიხარულით ცას ვეწიე, მაგრამ აქედანაც ხახამშრალი დამტოვეს — ბანკმა ხელფასი დამიყადაღა და უკაპიკოდ დავრჩი.

— მერე, არაფერს ღონობ?

— ახლა სწორედ მაგ საქმეზე მივდივარ, ბანკის ხელმძღვანელობას უნდა ვთხოვო, ხელფასიდან იმდენი მაინც დამიტოვონ, რომ საჭმლის ყიდვა შევძლო, თორემ მშიერი მოვკვდები.

— ეგ ბანკის ინტერესებშიც შედის, — მიანიშნა ძმაკაცმა, — შიმშილით ფეხებს თუ გაფშიკე, მერე შენ ვალს ვის გადაახდევინებენ?

— კარგი, შეგატყობინებენ, როგორ გადაწყდება ეს ამბავი, — თქვა მერაბმა და ავტობუსიდან ჩავიდა, მე კი ამან ჩემი მეგობარი ნუკრი ანთაძე გამახსენა. მანაც აიღო სესხი ბანკიდან, ოღონდ არა ბიზნესის საკეთებლად, არამედ ნაღვლის ბუშტის საოპერაციოდ. ნუკრი ოპერაციის შემდეგ კი გამოჯობინდა, მაგრამ ვალი გაუსტუმრებელი დარჩა და ახლა ბანკიდან ბინის გაყიდვით ემუქრებიან.

იხ. 9 გვ.

ინფორმაცია

## რატომ არ ჩაურიცხეს პედაგოგებს ხელფასი?

ოპოზიციონერი დეპუტატი გია ცაგარეიშვილი ხელისუფლებას პედაგოგების საშვებულებო ხელფასებთან დაკავშირებით განმარტებას სთხოვს.

როგორც გია ცაგარეიშვილმა გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, პირველი ივლისიდან პედაგოგებს 2 თვის საშვებულები ანაზღაურება უნდა მიეღოთ, თუმცა ხელფასი ამ დრომდე არ ჩარიცხვიათ.

დეპუტატის თქმით, საინტერესოა, რატომ არ იღებენ ხმას პედაგოგთა პროფკავშირი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი და განათლების საპარლამენტო კომიტეტი.

მისივე აზრით, როგორც ჩანს, 2009 წელი საარჩევნო წელი არ არის და ხელისუფლებისთვის „მნიშვნელოვანი აღარ არის პედაგოგების მოსყიდვა და მათი საზარბაზნე ხორცად გამოყენება“.

ცაგარეიშვილი იმედოვნებს, რომ ფინანსთა მინისტრი პედაგოგების ხელფასების „გაქრობას“ კვლავ ოპოზიციას არ დააბრალებს და არ დაამტკიცებს, რომ „სახელფასოდ განკუთვნილი მილიონები საკნებმა შეჭამა“.

ამასთან, დეპუტატის თქმით, საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს რეზიდენციაში ბალ-მასკარადების გამართვას ურჩევნია, მოჰკითხის ჩინოვნიკებს, რატომ არ ურიგდებათ პედაგოგებს საშვებულებო ხელფასები.

დეპუტატმა პედაგოგების სამომხარებლო კრედიტებზეც გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ თუ ხელფასი მათ კიდევ დაუგვიანდებათ, ანაზღაურების 15-20 % საბანკო პროცენტებს შეეწირება.

## ნიქოზის სამონასტრო კომპლექსის რეაბილიტაცია დაიწყო

ნიქოზის სამონასტრო კომპლექსის რეაბილიტაციისთვის პირველი საერთაშორისო გრანტი გამოიყო.

პრინც კლაუსის ფონდის დაფინანსებით, გასული წლის ომის შედეგად გადამწვარი სამონასტრო კომპლექსის აღდგენით სამუშაოებს ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი განახორციელებს.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს ინიციატივით, მომზადებულია ნიქოზის სამონასტრო კომპლექსის სრული რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაცია, რომელიც საფუძვლად დაედება ძეგლზე ფიზიკური სამუშაოების დაწყებას.

გუშინ ნიქოზის სამონასტრო კომპლექსში, ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიის მიტროპოლიტი ისაია, კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს გენერალურ დირექტორს ნიკოლოზ ვაჩეიშვილს, ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის პრეზიდენტ და პრინც კლაუსის ფონდის პროექტის დირექტორ მაკა დვალიშვილს, საქართველოში ნიდერლანდების ელჩის მოადგილე ჰეინო ვან ჰუველინგენსა და ნიქოზის სამონსატრო კომპლექსის რეაბილიტაციისთვის შექმნილ ევროსაბჭოს ექსპერტთა სამუშაო ჯგუფს შეხვდა.

სამონასტრო კომპლექსის რეაბილიტაციის I ეტაპზე გადაუდებელი სამუშაოები ყველაზე რთულ მდგომარეობაში არსებულ, IX-X სს-ის ნიქოზის საეპისკოპოსო სასახლეს ჩაუტარდება.

ფონდის მიზანია პირველადი დახმარება გაუწიოს კონფლიქტების ან ბუნებრივი უბედურების შედეგად დაზიანებულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს.

2009 წელს განსახორციელებელი ფიზიკური სამუშაოები, რომელიც ძეგლს სრული განადგურებისგან დაიცავს, აგვისტოს ბოლოს დასრულდება.

ინტერპრესნიუსი

არდავიწყება

# უჩანეისკუა — სიხარულის მომნიჭებელი



**რა ვქნა: ირაკლი უჩანეიშვილს, როგორც რესპონდენტს, არასდროს შევხვედრივარ, სამწუხაროდ, ჩვენ არასდროს გვისაუბრია ოფიციალურად, პრესისთვის: არადა, იგი იყო ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი მსახიობი, ჩემი ერთ-ერთი (მგონი, ერთადერთი) უსაყვარლესი მხატვრული კითხვის ოსტატი... მომღერალი...**

ასე მოხდა...

ჰოდა, დღეს, როდესაც ირაკლი უჩანეიშვილის დაბადების დღეა – იგი 80 წლისა გახდებოდა (სამოცდაათსაც ვერ მიაღწია), როდესაც ახლობლები გაიხსენებენ მის პიროვნებას, მარჯანიშვილის თეატრის ჭარმაგი სცენის ოსტატები – მისი უახლოესი მეგობრები, ჭიქა ღვინოს ასწევენ, მიხარია, რომ მეძლევა საშუალება „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველს მოვუთხრო ნაადრევად წასული უნიჭიერესი მსახიობის, ნაღდი ქალაქელი კაცის შესახებ.

გვქონდა კი რამდენიმე გულთბილი შეხვედრა. ერთხელ, მაგალითად, თეატრალური საზოგადოების საგამომცემლო განყოფილებაში რომ ვმუშაობდი, სულგანათლებულმა ოთარ მამფორიამ შემოიხედა ოთახში (გამოსაცემად ვამზადებდით მისი პიესების კრებულს და ხშირად შემოივლიდა ხოლმე), მოგვესალმა და მერე თვალით მანიშნა, გამოდიო, გავედი დერეფანში, ჩავიდეთ, ცოტა ხანს, ქვემოთ (რესტორან „დურუჯში“), იქ ჩემი იეთიმ გურჯი გველოდებაო. მივხვდი, ირაკლი უჩანეიშვილზე მეუბნებოდა, იმხანად მარჯანიშვილის თეატრში ანშლაგით მიდიოდა ოთარ მამფორიას პიესა „იეთიმ გურჯი“ და ირაკლი უჩანეიშვილი სპექტაკლში იეთიმის დაუვიწყარ სახეს ქმნიდა.

...იმ დღეს, „დურუჯიდან“ რომ ამოვედით, უცებ მომხვდა თვალში მისი „ბუტილკა“ შარვალი, ხოლო ფეხსაცმლად – „ტრაქტორები“ – იმხანად თბილისში მოდური „ბათინკები“. ასე დადიოდა... არადა, შინაგანად, ძველი თბილისელების, სოლოლაკელების მოდგმისა იყო.

მახსოვს, როგორ ვიღიღინეთ იმ დღეს ცნობილი მელოდიები – „ასეთია ქურდი კაცის ბედი“, „ჩავაბარებ უკანასკნელ წერილს“... როგორ გავბედე და შევეცილე იეთიმ გურჯისა და საიათნოვას ლექსების კითხვაში... მე თავი მოვიწონე (სასმელმა თავისი ქნა), – თენგიზ აბულაძის „ვედრებას“ ხომ ირაკლი უჩანეიშვილის მიერ უზადოდ წაკითხული ვაჟას ტექსტი ეფინება, ჰოდა, გავრეკე და გავრეკე... „ალუდა ქეთელაური, ბიჭია დავლათიანი“...

დაუვიწყარი დღე იყო...

* * *

თბილისში კი იყო დაბადებულ-გაზრდილი, მაგრამ ფესვი სამეგრელოში ედგა.

– უჩანეისკუაა მათი გვარი, – იგონებს ირაკლი უჩანეიშვილის მეუღლე ქალბატონი **მერცია გელაშვილი,** – „უჩა“ მეგრულად შავს ნიშნავს, „სკუა“ – შვილს. მეგობრები კი „კუჭას“ ეძახდნენ, გაკუჭება, გაჯიუტება იცოდა, მაინც და მაინც „ნოტებზე“ ლაპარაკი არ უყვარდა, თუმცა, მოალერსე, ყურადღებიანი მეუღლე, შვილებზე გადაყოლილი და შვილიშვილებზე გადარეული კაცი იყო... დილით, თეატრში რომ წავიდოდა, ჩქარა მობრუნდებოდა უკან, რომ ბავშვის ბანაობაში მომხმარებოდა. ბოჰემურად ცხოვრობდა, რაც, შეიძლება ითქვას, ხელს უშლიდა შემოქმედებაში... მისი სამსახიობო ნიჭი და უნარი ერთიანად გამოვლინდა რუსთავის თეატრში, სადაც იგი ბატონმა გიგა ლორთქიფანიძემ სხვებთან ერთად წაიყვანა, თუმცა მარჯანიშვილში ნათამაშევი იეთიმ გურჯი მისი პოპულარობის მწვერვალი გახდა... ამ როლმა ძველ თბილისთან საოცრად დააახლოვა. სომხური ენა იცოდა, ერევანში სომხურად საიათნოვას როლიც კი შეასრულა. შეიძლება ბევრ რამაზე წყდებოდა გული, თუმცა, რაც გააკეთა, მხოლოდ თავისი ნიჭითა და უნარით.

**იგონებს ბატონი გიგა ლორთქიფანიძე:**

– ირაკლი უჩანეიშვილს ჯერ კიდევ მოწაფეობისა და სტუდენტობის დროს ვიცნობდი და ვმეგობრობდი. გაცნობის პირველი დღიდან შემიყვარდა ეს მომხიბლავი ვაჟკაცი და აღფრთოვანებული ვიყავი მისი გიტარაზე დაკვრით და სიმღერით. ირაკლი ფენომენალური მუსიკალური ტალანტით იყო დაჯილდოებული. განუმეორებელი ხმის ტემბრი ჰქონდა...

შეუძლებელია დაივიწყო მისი ფოსტალიონის სიმღერა (დავით თორაძე) ან „ასეთია ქურდი კაცის ბედი“ (ბიძინა კვერნაძე). თვითონაც შესანიშნავ სიმღერებს თხზავდა და გიტარაზე ამღერებდა. ბავშვობიდანვე უყვარდა ლექსების კითხვა და თავიდანვე ნათელი იყო, რომ შესანიშნავი მსახიობი დადგებოდა.

1967 წელს ჩვენი თაობის მსახიობებისა და რეჟისორებისთვის მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა – გაიხსნა რუსთაველის თეატრი. ირაკლიმ უდიდესი როლი შეასრულა ამ თეატრის ფორმირებაში. პირველსავე სპექტაკლებში შესანიშნავი სახეები შექმნა. განსაკუთრებით მინდა გამოვყო მისი დეკაბრისტი გორინი კოროსტილოვის პიესაში – „ასი წლის შემდეგ“, მისი სცენური შერკინება მეფე ნიკოლოზთან (ო. მეღვინეთუხუცესი) მსახიობური შემოქმედების ეტალონად მიმაჩნია. განუმეორებელი იყო მისი ბარონი (მაქსიმ გორკის „ფსკერზე“), მოსკოვში გასტროლების დროს მისმა ბარონმა უმაღლესი შეფასება დაიმსახურა.

**ახლა ბატონ ოთარ მეღვინეთუხუცესს მოვუსმინოთ:**

– შეეძლო უნიჭოდ დაწერილ პიესაშიც კი ყველაფრის გამართლება და ბრწყინვალედ შესრულება. როგორ ახერხებდა ამას, მისი საიდუმლო იყო. მრავალმხრივი იყო მისი რეპერტუარის პალიტრა. ხასიათს გმირისა, უცებ გრძნობდა. აქ თავისი ქვეცნობიერება უწევდა დიდ სამსახურს. ხმა, კარგად მოგეხსენებათ, დიდებული ჰქონდა – დაბალი, ლბილი ბას-ბარიტონი უაღრესად სასიამოვნო ჟღერადობით. მუსიკალური ხომ იყო და იყო, მოძრაობდა, ცეკვავდა შესანიშნავად. რამდენიმე ინსტრუმენტზე უკრავდა. ენებისადმი მიდრეკილება ჰქონდა: რუსული, სომხური ენები, მეგრული დიალექტი ბრწყინვალედ იცოდა და უხდებოდა მის ხმას, დახვეწილ მეტყველებას. სუნთქვა, რაც ბევრს ნიშნავს ჩვენს პროფესიაში, შესაშური ჰქონდა. იუმორითა და დრამატიზმით, ემოციურობით თანაბრად იყო დაჯილდოებული...

**ბატონი ნოდარ მგალობლიშვილი კი ასე იხსენებს:**

– ერთ მშვენიერ დღეს გამომიცხადა – შენ 11 ივლისსა და მე 14-ში ვართ დაბადებული (ტრაბახობდა, 14 ივლისი ბასტილიის ციხის დაცემის დღეაო) და ერთად გადავიხადოთო.

...1969 წლის 11 ივლისს რომ დავიწყეთ, 17 ივლისს, ჩემი შვილის დაბადების დღეს დავამთავრეთ ქეიფი.

**სევდა ახლავს ბატონ მალხაზ ბეგურიშვილის მოგონებას:**

– გურამ ქავთარაძემ დამირეკა და მითხრა, ხვალ ირაკლის დაბადების დღე რომ არის, ხომ არ დაგავიწყდაო.

ოთარი, ნოდარი და მე წავედით. ირაკლი ქალიშვილთან, თინიკოსთან იწვა სახლში, საოცრად გაუხარდა, ეტყობა, არ გველოდა. თინიკო და გოგი სუფრის გაშლას შეუდგნენ, ირაკლიც წამოდგა, სუფრას მივუსხედით, ბევრი რამ გავიხსენეთ, ვიცინეთ. ირაკლი გამხიარულდა. დიდხანს არ მჯდარა ჩვენთან, ბიჭებო, არ გეწყინოთ, ცოტა არ იყოს, დავიღალე, წავალ, წამოვწვები, თქვენ ფეხი არ მოიცვალოთო. ირაკლი გვერდით ოთახში იწვა, ჩვენ დროდადრო შევდიოდით მასთან და ვამზობდით სადღეგრძელოს. რომ არ გადაღლილიყო, მალე წამოვედით. გახარებული დავტოვეთ ირაკლი, თიკო და გოგი. თურმე, ეს იყო ჩვენი ბოლო შეხვედრა, ვინც პირველი კურსიდან მთელი გზა ერთად გავიარეთ.

ჭეშმარიტად გამორჩეული მამულიშვილი, ცნობილი ეკონომისტი, გაზეთ „თანადგომის“ გამომცემელი ბატონი **ანზორ ბაბუხადია,** რომელმაც, თავის დროზე, ირაკლი უჩანეიშვილის გარდაცვალებას „თანადგომის“ მთელი ნომერი მიუძღვნა, ახლოს იყო ირაკლი უჩანეიშვილთან და მის ოჯახთან.

– ასეთი გულიანი კაცი იშვიათობაა, ამბობს ბატონი ანზორი, – ჩვენი მეგობრული დამოკიდებულების მაქსიმალურ რანგში აყვანის მიზნით, წმიდა სამების ტაძარში, სათანადო რიტუალის სრული დაცვით, თავისი ნათლიის სტატუსიც მომანიჭა. მისი ჭირის, ლხინისა და საიდუმლოების ერთ-ერთი გამზიარებელი მეც გახლდით. ყველაზე მეტად აფხაზეთში და სამეგრელოში დატრიალებულ ტრაგედიას განიცდიდა და სწორედ ამან დააჩქარა მისი ამ ქვეყნიდან წასვლა. ირაკლის გარდა ვინ შეძლებდა ერთი კვირის განმავლობაში, ყოველ საღამოს საავადმყოფოდან გაპარვას ნახევრად გაყინულ ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, რათა მისი ავადმყოფობის გამო კონცერტი არ ჩაშლილიყო და უამრავი თაყვანისმცემელი არ გაეწბილებინა...

* * *



ირაკლი უჩანეიშვილი სპექტაკლებში: „ჟამთა სიავე“ (ლევანი) და „იეთიმ გურჯი“ (შოთა მშვენიერაძესთან ერთად).

ახლობლებისა და მეგობრების დახმარებით, მგონი, პორტრეტის შტრიხები მაინც დაიხატა ხელოვანისა, რომელმაც თავისი შემოქმედებით ბევრი სასიამოვნო წუთი განაცდევინა უფროსი თაობის ადამიანებს. მადლობა ღმერთს, რომ არსებობს კინემატოგრაფი, რომელმაც მომავალ თაობას შემოუნახა ირაკლი უჩანეიშვილის სამსახიობო ოსტატობის მრავალი წახნაგი (თუნდაც „ზღვის შვილებში“), რითაც, ჩვენი ახალგაზრდობა, კიდევ ერთხელ გააამაყა ქართული ნიჭის უკიდეგანობის გამო.

ვილენ მარდალეიშვილი

◎ სურათის ისტორია

# ნოდარ დუმბაძე — ჩვენ შორის...

**მახსოვს გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის ხშირი სტუმრები იყვნენ თვალსაჩინო ქართველი მწერლები, კულტურის, ხელოვნების მოღვაწენი. გასული საუკუნის 80-იან წლებში, გაზეთის რედაქტორის, შესანიშნავი მამულიშვილისა და პუბლიცისტის, ბატონ გიორგი ბედინეიშვილის ინიციატივით, აქ იმართებოდა ხოლმე დისპუტები ქართული კულტურის სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხებზე.**

აი, ერთ-ერთი შეხვედრაც: რედაქციას, უფრო სწორად, მისი ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებას ჩვენი დაუვიწყარი ნოდარ დუმბაძე სტუმრობს, რედაქტორის კაბინეტში ვხვდებით სახელგანთქმულ მწერალს. ახლა აღარ მახსოვს, კონკრეტულად რა საკითხებზე გვქონდა მსჯელობა. ბატონი ნოდარი საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეა. რახან ჩვენთვის მოიცალა, სასაუბროს რა გამოლევდა... ფოტორეპორტიორ თედო ნიკოლაიშვილს ერთ მომენტში ჩვენი კუთხე გადაუღია და რედაქტორი ქე დაუტოვებია კადრს მიღმა.

ფოტოზე აღბეჭდილი არიან – მარჯვნიდან ბატონი ნოდარ დუმბაძე, რედაქციის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების გამგე ქალბატონი ნანა ღვინეფაძე, გაზეთის სტილისტი ქალბატონი ლია გოგიშვილი და ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების თანამშრომლები ქალბატონი რუსუდან მუხიგულაშვილი და თქვენი მონა-მორჩილი...

ჰაი, ჰაი, რომ ბატონი ნოდარ დუმბაძე, ბატონი გიორგი ბედინეიშვილი და ქალბატონი ლია გოგიშვილი, სამწუხაროდ, დღეს ცოცხალთა შორის აღარ არიან... ღმერთმა გაანათლოთ!.. 14 ივლისი კი, თითქმის მთელმა საქართველომ იცის, ნოდარ დუმბაძის დაბადების თარიღია – იგი დღეს 81 წლისა გახდებოდა... ჰოდა ამ ფაქტმა მომაძებნინა ეს ფოტოც, რომელიც, ჩემთვის, დიახაც რომ რელიკვიაა.

**ვილენ მარდალეიშვილი**



◎ გუშინ — დღეისთვის

## ჭური მეჭურემ უნდა გამოაცხოს

**გამოჩენილი ინგლისელი პოლიტიკური მოღვაწე უინსტონ ჩერჩილი მსოფლიოში ერთადერთი პიროვნებაა, რომელსაც თითქმის ორმოცდაათი წლის განმავლობაში სახელმწიფოს მაღალი თანამდებობები ეკავა. იგი სამჯერ პრემიერ-მინისტრი იყო, ინ:გლისის მინისტრთა კაბინეტი არ დარჩენილა არც ერთი სამინისტრო, რომლისთვისაც მას არ ეხელმძღვანელა. ჩერჩილის ბიოგრაფები განსაკუთრებით აღნიშნავენ მის მონდომებასა და პასუხისმგებლობას სახელმწიფო თანამდებობებზე ყოფნის დროს. მაგრამ, ამასთანავე, იმასაც იხსენებენ, თუ როგორ ჩავარდა სასაცილო მდგომარეობაში, როდესაც შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი ეკავა.**

1910 წლის დეკემბერში, ლონდონში, საიუველირო მაღაზიის გაქურდვის მცდელობისას, პოლიციელებსა და ყაჩაღებს შორის ატეხილი ორმხრივი სროლის დროს, დაიღუპა სამი პოლიციელი. ყაჩაღები მიიმალნენ. ამ ფაქტს დიდი გამოხმაურება ჰქონდა, რადგან ინგლისში პოლიციელები იარაღს არ ატარებდნენ და მათი შეჯახება დამნაშავეთა სამყაროსთან სისხლისღვრის გარეშე მთავრდებოდა.

ამ საქმის გამოძიება ჩერჩილმა თავის ხელში აიღო. ეგონათ, რომ საქმეში ანარქისტების ხელი ერია და მინისტრის აზრით მას პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა.

1911 წლის 3 იანვარს პოლიციას შეატყობინეს, რომ ძებნილი შეიარაღებული ყაჩაღები თავს აფარებდნენ სიდნეი-სტრიტის №100 სახლში. სულ მოკლე ხანში ქუჩები გაივსო ჩერჩილის განკარგულებაში მყოფი ასეულობით პოლიციელითა და ჯარისკაცით, ტაუერიდან საარტილერიო დანადგარებიც კი მოიტანეს.

ოპერაციას პირადად ჩერჩილი ხელმძღვანელობდა. იგი თავის ხელქვეითებთან ერთად განიხილავდა დამხმარე ძალების მობილიზაციისა და იმ სახლის ალყის გეგმას, საიდანაც ისროდნენ. მალე სახლს ცეცხლი მოეკიდა. მის ჩასაქრობად სახანძრო რაზმი მოვიდა, მაგრამ მათ მინისტრმა ცეცხლის ჩაქრობის უფლება არ მისცა. როდესაც შენობა სულ დაიწვა, ნანგრევებში მხოლოდ ორი დამწვარი გვამი ნახეს. აღმოჩნდა, რომ შს მინისტრის ხელმძღვანელობით, დიდი რაოდენობით პოლიციისა და არტილერიით შეიარაღებული სამხედრო ძალები ებრძოდნენ ორ ადამიანს. ჟურნალისტებმა ამ ოპერაციას დაცინვით „სიდნეი-სტრიტის“ ბრძოლა უწოდეს და გაზეთებში გაამასხარავეს მინისტრის არაპროფესიონალური საქციელი. ინგლისელებს არც საფრანგეთის პრესა ჩამორჩა. ლონდონის კინოთეატრებში უჩვენებდნენ კადრებს, თუ როგორ ხელმძღვანელობდა ჩერჩილი ოპერაციას. მას ზედმეტსახელად სიდნეი-სტრიტის ნაპოლეონი უწოდეს.

ასე გაიბითურა თავი შს მინისტრის თანამდებობაზე ყოფნის დროს ამ მართლაცდა დიდმა სახელმწიფო მოღვაწემ.

ჩვენთანაც, ხშირად, სამართალდამცავები ხელმძღვანელობენ ლოზუნგით: თუ ძალა გაქვს, ჭკუა საჭირო არ არის. არადა სწორედ მათ საქმიანობას უნდა ახასიათებდეს განსაკუთრებული პროფესიონალიზმი, რომელიც ადვილად არ მიიღწევა.

**ვაჟა თვალავაძე.**

◎ განათლება

***იაკობ გოგებაშვილი** თავის დროზე ძნელად თუ წარმოიდგენდა, რომ თავისი „დედაენა“ როდესმე მაინც საზოგადოებისთვის პრობლემა და თავსატეხი გახდებოდა. მაგრამ XXI საუკუნის ქართველმა განათლების რეფორმატორებმა ამ დიდი საზოგადო მოღვაწის ნაამაგარ და ქართველი ერისთვის ანდერძად გადაცემულ წიგნს გვერდი აუარეს და სკოლებში „ აი იას“ პრინციპით წერა-კითხვის სწავლება ამოიღეს.*

*ამის გამო კრიტიკა, გნიასი, ლანძღვა-გინებამდე მისული საყვედურები განათლების სამინისტროს არ ასცდა. არც იმ ახალ „ავტორებს“, რომლებმაც „დედაენა“ ისე გადააკეთეს, რომ შიგ გოგებაშვილისა არაფერი დატოვეს, სახელის გარდა. ეს იმას ჰგავს, ვინმემ ნაწარმოები შექმნას და „ვეფხისტყაოსანი“ დაარქვას.*

*მაისში განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოების ეროვნულ ცენტრში ათმა „დედაენამ“ მიიღო კონკურსში მონაწილეობა. თუმცა რაღა კონკურსი. ცენტრმა ათივეს გრიფი მიანიჭა. სახელმძღვანელოები კომისიის წევრებმა მხოლოდ ქულებით შეაფასეს, რომელთა შორისაც გოგებაშვილმა ყველაზე მაღალი – 97 ქულა აიღო. ახლა თვითონ სკოლამ და პედაგოგებმა უნდა აირჩიონ მათ შორის მისაღები და საინტერესო წიგნი.*

*ავტორები და გამომცემლები არნახულ კონკურენციაში ჩაებნენ. ბუნებრივია, ყველამ საკუთარ გამოცემას გაუწია რეკომენდაცია, განსაკუთრებით იმ სკოლებში, სადაც მეტი ნაცნობ-მეგობარი ჰყავთ. მაგრამ ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა ის „დედაენა“, რომლის ავტორიც საუკუნის წინათ მიიცვალა.*

*სარეკლამო მისია „იაკობ გოგებაშვილის საზოგადოებამ“ ითავა და შეეცადა პედაგოგებისთვის ის პრინციპები შეეხსენებინა, რაზეც თავად აღიზარდნენ, მით უფრო, რომ წიგნის რედაქტორი საზოგადოების თავმჯდომარე მღვდელი კონსტანტინე გიორგაძეა.*

*საზოგადოების წევრებმა უკვე მთელი საქართველო შემოიარეს და მასწავლებლებს ღიად და საჯაროდ შესთავაზეს საკუთარი პროდუქცია. მნიშვნელოვან დეტალებზე საზოგადოების წევრი, პროფესორი **გიორგი გოგოლაშვილი** გვესაუბრება:*

# SIC: ათი „დედაენის“ არნახული კონკურენცია

## პედაგოგთა უმეტესობა გოგებაშვილის წიგნის მომხრეა

– ათივე სახელმძღვანელომ მიიღო გრიფი. ეს არ ნიშნავს კონკურსს, ეს არის უბრალოდ რეგისტრაცია. ეს მოხდა იმიტომ, რომ განათლების სამინისტროში არ აქვთ კრიტერიუმი, რა უნდა დააკმაყოფილოს სახელმძღვანელომ. ამიტომ გრიფი აქვს 97 ქულიანსაც და 17 ქულიანსაც.

მაგალითად, წინა კონკურსში გაიმარჯვა ხუთმა სახელმძღვანელომ. მაშინ ვერ გავიდა ზურაბ ვახანიას „დედაენა“, მან კი იჩივლა. თუმცა ვერ მოიგო. როგორც ჩანს, ამიტომაც ჩაიქნია ხელი სამინიტსრომ ყოველგვარ წესზე, კანონზე და გრიფი ყველას მიანიჭა.

**– თქვენ პრეტენზია გაქვთ სახელწოდება „დედაენასთან“ დაკავშირებით?**

– დიახ. არ შეიძლება ავტორი ეწოდოს ამ ადამიანებს. თუკი „დედაენის“ მიხედვით კეთდება ახალი სახელმძღვანელო, ისინი არიან შემდგენელნი და არა ავტორები. თან „დედაენა“ აუცილებლად უნდა იყოს აგებული „აი ია“-ს პრინციპზე. ისინი არიან ქართული ენის სახელმძღვანელოების ავტორები და არა „დედაენის“, მაგრამ ამას განათლების სამინისტრო არად დაგიდევთ.

სახელმძღვანელოები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად. ერთი – რომელიც აგებულია „აი იას“ პრინციპზე და მეორე – როცა ასოს სწავლება იწყება პირდაპირ სიტყვებით.

**– ბატონო გიორგი, ნუ ჩავუღრმავდებით, რადგან ჩვენს გაზეთში ამაზე საკმაოდ ვრცლად წერდით. მაგრამ საინტერესოა ერთიც, რატომ აქვს დიდი მნიშვნელობა ასო-ბგერით სწავლების პრინციპს, თუკი შედეგი ერთნაირია: ყველა პირველკლასელმა უკვე იცის წერა-კითხვა.**

– შედეგი გვაქვს. მაგრამ რა ძალის, რა ენერგიის დახარჯვით მივიყვანეთ ბავშვი ამ გზამდე. ბავშვი „აი იას“ პრინციპის მიხედვით სწავლობს ლაღად, მარტივად, ხოლო როცა მთელ სიტყვას აძლევენ, სადაც მხოლოდ ერთი ასოა ნაცნობი და დანარჩენი უცნობი, რთულია. თან რა ძალა გვადგას, არ არის ამის აუცილებლობა, უცხოელების წამბაძველობა რომ არა.

ბავშვი ნაკლებად ძაბავს გონებას, არ წვალობს, იოლად სწავლობს სათითაოდ ასოებს...

**– საინტერესოა მასწავლებლების არჩევანი. თქვენი პრეტენზია არის ისიც, რომ განათლების სამინისტრომ არ მიუთითა კონკრეტულად, რა კრიტერიუმით უნდა იხელმძღვანელონ წიგნის არჩევისას?**

– დიახ. მხოლოდ ქულებით შეაფასეს სახელმძღვანელო და ამის მიხედვით შეაფასებენ პედაგოგებიც? მე არ შემხვედრია მასწავლებელი, რომელსაც რაიმე პრეტენზია გამოეთქვა გოგებაშვილის მიმართ. შეხვედრებზე ცხოველი კამათი მიმდინარეობდა და პირიქით, ყველა გამოთქვამდა საყვედურს იმის გამო, რომ არ იყო „აი ია“-ს პრინციპით სწავლება.




**– თუმცა აქამდეც იყო ასეთი პრინციპით აგებული რამდენი სახელმძღვანელო. მასწავლებელს ხომ აქვს არდადეგებზე დრო, რომ სასურველი წიგნი აირჩიოს, გულისყურით გაეცნოს ყველას?**

– სამწუხაროდ, არა აქვს. სკოლების ბიბლიოთეკები ყველა სახელმძღვანელოს არ იძენენ. თანაც, კონკურსის შედეგი ივნისში გამოქვეყნდა, ხოლო ახლა რამდენიმე დღეში ყველა სკოლამ ოფიციალურად უნდა წარადგინოს ის წიგნი, რომელსაც საბოლოოდ აირჩევს. სხვათა შორის თელავის I საჯარო სკოლას არჩევანი უკვე გაკეთებული ჰქონდა, მაგრამ ჩვენთან კონსულტაციის შემდეგ არჩევანი შეცვალა.

**– თქვენ შემოიარეთ მთელი საქართველო, რეკომენდაცია გაუწიეთ მხოლოდ გოგებაშვილის „დედაენას“. კონსტანტინე გიორგაძის რედაქტორობით შედგენილ სახელმძღვანელოში დიდი დოზით იყო რელიგიური თემატიკა. ახლაც ასეა?**

– არა, კორექტივები შეტანილია, ხოლო რელიგიური ნაწილი თითქმის მოიხსნა. დარჩენილია საანბანე ნაწილი და დამატებულია სავარჯიშოები, ძალიან კარგად გაკეთებული წიგნია, რადგან მასზე იმუშავეს ფსიქოლოგებმა, ოფთალმოლოგებმა და სხვებმა. იქ ყველა პარამეტრია გათვალისწინებული. რელიგიური ნაწილი თითქმის არაა. მხოლოდ ცვლილება შევიდა საანბანე ნაწილში. მაგალითად, ასო „გ“-ს გოგებაშვილის მიხედვით შეესაბამებოდა „ნამგალი“, ხოლო „ჯ“-ს „ჯარა“. თანამედროვე ბავშვისთვის ორივე სიტყვა უცხოა, ამიტომ ესენი შეიცვალა „ანგელოზით“ და „ჯვრით“. „ანგელოზი“ თვით გოგებაშვილმა გამოიყენა ადრინდელ რედაქციაში.

გოგებაშვილის მთავარი პრინციპიც ეს იყო. ბავშვისთვის ნაცნობი და გასაგები უნდა იყოს საგანი. სურათს რომ დაინახავს, უნდა მიხვდეს და იცოდეს, რა ქვია საგანს და ზუსტად ის სახელი უნდა ეწეროს ქვევით.

ეს არის პირველი კლასის სახელმძღვანელო, ხოლო მეორე და მესამე კლასის სახელმძღვანელოც მზადდება.

**– მოკლედ, ბატონო გიორგი, „დედაენა“ მკაცრ კონკურენციაში ჩაება?**

– საკმაოდ მძიმე და არაპატიოსან კონკურენციაში. მასწავლებელს როცა მხოლოდ ქულას სთავაზობ და სხვა არაფერს, ეს არ არის ჯანსაღი კონკურენცია. უბედურება ის არის, რომ არ ვიცით, რა უნდა დააკმაყოფილოს სახელმძღვანელომ.

ყველა ავტორი, რომ გაამართლონ თავიანთი ავტორობა, ისეთ პრინციპებს ცვლიან, რომელიც საერთოდ უარყოფს გოგებაშვილს – მაგალითად, როცა ბავშვს უჩვენებენ იადონს, კაჭკაჭს, და ეკითხებიან ეს რა არის, პასუხი – მარტივია: ეს არის ჩიტი. იმიტომ, რომ პირველკლასელისთვის ყველა ეს ფრინველი ერთნაირია. მაგრამ გოგებაშვილს აქვს „ოფოფი“, რომელიც სხვაში არაფრით არ აერევა პატარას, რომელსაც ქვეშ იგივე სიტყვა აწერია და არა სხვა.

სხვა სახელმძღვანელოებში ტექსტები შეცვლილია. შემოდის კოსმოსზე, კომპიუტერზე საუბარი, რომელიც მაინცდამაინც ღირებულს არაფერს აძლევს ბავშვს, გოგებაშვილის წიგნში კი ზნეობრივ-მორალური ტექსტებია, რომელიც გაიმართა თანამედროვე ენის სტილით.

**– თანამედროვე რეფორმა გულისხმობს ბავშვის უნარ-ჩვევის გამომუშავებას. ამას თუ ამართლებს გოგებაშვილის „დედაენა“?**

– აკმაყოფილებს ყველა პრინციპს, რაც ბავშვისთვის აუცილებელია.

**– მაგრამ ტექსტები არ უნდა გართულდეს? დღეს, როცა საკმაოდ რთულად აღსაქმელ მულტფილმებს კარგად იგებს ბავშვი, მას აინტერესებს კოსმოსი, კომპიუტერი... XIX საუკუნის და XXI საუკუნის ბავშვის ფსიქოლოგია ხომ სხვადასხვანაირია?**

– ეს გულისხმობს „დედაენის“ გაუკეთესებას და არა გაუარესებას. მასში მთავარი და არსებითი არის საანბანე ნაწილი, ხოლო ტექსტები ეპოქის და დროის შესაბამისად უნდა შეიცვალოს, ის თანამედროვეობას უნდა შეესაბამებოდეს. იაკობ გოგებაშვილი თვითონვე ამბობდა, როგორც კი „დედაენას“ გაუკეთესება მოაკლდება, მოკვდებაო. ეს არ ნიშნავს პირველივე გაკვეთილზე კოსმოსზე საუბარს. გოგებაშვილის პრინციპია მარტივიდან რთულისაკენ და არა პირიქით. როცა ასეთ პრინციპს არღვევ და მერე გოგებაშვილს უწევ კონკურენციას, ეს არის „სახსრის ტრფიალი და კუჭის პრინციპი“. სახელმძღვანელოს შედგენა მომგებიანია, რაც აბრძოლებს ვიღაც-ვიღაცებს გოგებაშვილის წინააღმდეგ.

ესაუბრა
**თეა მოსია**

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# „საქართველოსთან ომის წამოწყებას მხოლოდ გიჟი თუ მოისურვებს“

**ჩვენი ქვეყნისთვის ტრაგიკული აგვისტოს წლისთავი ახლოვდება. მკითხველისათვის, ალბათ, არ იქნება უინტერესო იმ შეხედულებათა გაცნობა, რომლებსაც რუსეთის პოლიტიკოსთა წრეებში გამოთქვამდნენ საქართველოსთან დაკავშირებით 2008 წლის აგვისტოს წინ. აი, რას მოგვითხრობს პრესტიჟული რუსეთული ყოველკვირეული ჟურნალი „ვლასტ“ წლევანდელი 6 ივლისის ნომერში.**



შარშანდელი წლის 12 მაისს, დიმიტრი მედვედევის ინაუგურაციიდან ხუთი დღის შემდეგ, „ვლასტში“ გამოქვეყნდა პოლიტიკოსთა და ექსპერტთა პასუხები კითხვაზე: „მედვედევიც ომით დაიწყებს?“ ერთობ საგულისყუროა დღეს ამ პასუხების წაკითხვა.

***ოლეგ მოროზოვი**, სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის პირველი მოადგილე:*

– საქართველოსთან ომის მოლოდინი იგივეა, რაც ვალუევსა და კირკოროვს შორის ორთაბრძოლის მოლოდინი! საქართველო სპეციალურად გვიპირებს პროვოცირებას, რადგან ესმის, რომ ამ პატარა ქვეყანას არავინ არ აწყენინებს.

***ალექსანდრე ტკაჩევი**, კრასნოდარის მხარის გუბერნატორი:*

– საქართველოსთან ომის წამოწყებას, როცა სოჭში ოლიმპიადისათვის სამზადისია გაჩაღებული, მხოლოდ გიჟი თუ მოისურვებს. დიმიტრი ანატოლის ძე, მადლობა ღმერთს, ჯანმრთელად და სრულ ჭკუაზე არის. ნერვებიც, როგორც მან ახლახან თქვა, სრულ წესრიგში აქვს, ასე რომ არავითარი პროვოკაციები არ გაჭრის.

***გიორგი შპაკი**, რიაზანის ოლქის გუბერნატორი 2004-2008 წლებში:*

– პრეზიდენტები ვინც არ უნდა იყვნენ, რუსი და ქართველი ხალხები ერთმანეთთან არასოდეს არ იომებენ. მით უფრო არ დაუშვებს სამხედრო ჩარევას წიგნიერი საერთაშორისო პოლიტიკოსი ლავროვი.

***ალექსანდრე დუგინი**, საერთაშორისო ებრაული მოძრაობის ლიდერი:*

– ომთან ისე ახლოს ვართ, როგორც არასდროს. ამერიკელებმა სააკაშვილი სწორედ ომის დასაწყებად დასვეს. სხვა საქმეა, რომ მედვედევს არ სჭირდება ომი. ის არც არავის არ უნდა და პირველ რიგში – რუსეთს, ჩვენს წინააღმდეგ ხომ მთელი მსოფლიო თანამეგობრობა ამხედრდება.

***ალექსანდრე პროხანოვი**, მწერალი, გაზეთ „ზავტრას“ მთავარი რედაქტორი:*

– მედვედევი არ საჭიროებს თვითგანმტკიცებას სამხედრო კონფლიქტის გზით. ეს პუტინს უნდოდა გამხდარიყო ეროვნული გმირი ჩეჩნეთის ომის, დაღესტანში ბასაევის შეჭრის, სახლების აფეთქების ფონზე. საქართველოსთან ომი კი უკვე მოდის, თუმცა არა კლასიკური გაგებით, არამედ მბჟუტავი.

***ანდრეი ვორობიოვი**, ფრაქცია „ედინაია როსიას“ ხელმძღვანელის მოადგილე:*

– ომი არცვის არ სჭირდება, რუსეთში – მით უმეტეს. ამ სიტუაციიდან ჩვენ მშვიდობიან გამოსავალს მოვნახავთ.

***ვიქტორ ილიუხინი**, არმიის მხარდამჭერი მოძრაობის ლიდერი:*

– სააკაშვილი თავად არ დაუშვებს ომს. მას ხომ ესმის, რომ დამარცხება გარდაუვალია, რომ დამარცხებულს ავტორიტეტის დაცემა ემუქრება. ვეთანხმები ექსპერტებს, რომ საქართველოსა და აფხაზეთის კონფლიქტში უფრო დამნაშავეა ძალოვანთა ბლოკი, ახალ პრეზიდენტს რომ უჩვენებს თავის ძალას. დასანანად, საეჭვოა, რომ მედვედევი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებაზე წავიდეს. მას პოლიტიკური ნება არ ეყოფა.

***ბორის ნადეჟდინი**, მემარჯვენე ძალთა კავშირის ფედერალური პოლიტსაბჭოს მდივანი:*

– ახლა ომი საერთოდ არავის არ სჭირდება, ასეთი მღვიმარი კონფლიქტი კი საქართველოსთვისაც ხელსაყრელია და რუსეთისთვისაც. სააკაშვილი უნდა მიემხროს ქვეყნის მთლიანობას და უჩვენოს ამომრჩევლებს, რომ სამუშაოებს ეწევა ამ მიმართულებით. ჩვენში კი კონფლიქტი საჭიროა იმპერიული განწყობების გასაღვივებლად.

***სერგეი ბორისოვი**, მცირე და საშუალო მეწარმეობის საზოგადოებრივი ორგანიზაციის „რუსეთის დასაყრდენის“ პრეზიდენტი:*

– რა ომი, რის ომი? რუსეთის ხელისუფალნი შეძლებენ დიპლომატიური თუ საზოგადოებრივი საშუალებების მოძებნას, რომ ეს არ დაუშვან. ყველას ესმის, რომ ქართველი პოლიტიკანების მცირე გროვა უბრალოდ თავის ამბიციებზე თამაშობს.

ასე თავდება „ვლასტის“ პუბლიკაცია. აი, მაშინ გვეთქმოდა, თუ გვეთქმოდა – თქვენს პირს შაქარიო...

მოამზადა
**თამაზ ებანოიძე**

# რუსეთს შეუძლია, ნაბუქოს ბუნებრივი აირი მიაწოდოს

**ანკარა. რუსეთს შეუძლია ნაბუქოს მილსადენს ბუნებრივი აირი მიაწოდოს და პროექტში მონაწილე ქვეყნებმა ის პარტნიორად უნდა მიიღონ, განაცხადა კვირას აშშ-ის წარმომადგენელმა ენერგეტიკის საკითხებში.**

რიჩარდ მორნინგსტარმა კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ ვაშინგტონი ნაბუქოს მილსადენში ირანის გაზის გამოყენების წინააღმდეგია. მან ეს განცხადება გააკეთა მას შემდეგ, რაც თურქეთმა აღნიშნა, რომ პროექტში შეიძლება გამოიყენონ ირანის ბუნებრივი აირი.




ნაბუქოს მილსადენის, რომელსაც შეერთებული შტატები უჭერს მხარს, ტრანზიტის შეთანხმებას ანკარაში ორშაბათს თურქეთმა, ბულგარეთმა, რუმინეთმა, უნგრეთმა და ავსტრიამ უნდა მოაწერონ ხელი. გერმანიაც პროექტში მონაწილე პარტნიორია.

ევროპის კავშირმა პროექტს მხარი დაუჭირა, რადგან მას რუსეთზე მისი ენერგეტიკული დამოკიდებულების შემცირების შესაძლებლობად განიხილავს. პროექტის, რომელიც 7.9 მილიარდი ღირს, შესაძლო მიმწოდებლები არიან ერაყი, ეგვიპტე, ირანი, აზერბაიჯანი, რუსეთი და თურქმენეთი.

„მე შეთანხმება მესმის, როგორც იმის შესაძლებლობა, რომ ნაბუქოს მილსადენში გამავალი ბუნებრივი აირის 50 პროცენტი ღია იყო მიმწოდებელთა შორის კონკურენციისთვის და რუსეთს, რაღა თქმა უნდა, შეუძლია ამ 50 პროცენტიდან ნაწილის მიმწოდებელი იყოს“, – უთხრა მორნინგსტარმა ჟურნალისტებს.

პროექტში მონაწილე ქვეყნებმა უნდა გადაწყვიტონ, მიიღონ თუ არა ნაბუქოში პარტნიორად რუსეთი, განაცხადა მან. თურქეთის ენერგეტიკის მინისტრმა შაბათს საღამოს როიტერს უთხრა, რომ რუსეთს შეუძლია მიუერთდეს ნაბუქოს, თუ ის ამას მომგებიანად მიიჩნევს.

ნაბუქოს პროექტი ვერ პოულობდა საკმაო რაოდენობის ნედლეულს 31-მილიარდიანი კუბური მეტრი გამტარობის მილსადენისთვის, რომელიც სამხრეთის ნაკადის, რუსეთის მიერ მხარდაჭერილი პროექტის კონკურენტია. ორივე პროექტის მიზანი ბუნებრივ აირზე ევროპის გაზრდილი მოთხოვნილებების დამაყოფილებაა.

ერთი კვირის წინათ თურქეთმა ახსენა, რომ ერთ-ერთი მიმწოდებელი შეიძლება ირანიც იყო, მაგრამ მორნინგსტარმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ აშშ ამის წინააღმდეგია.

„რაც შეეხება ირანს, ჩვენი პოზიცია სრულიად ნათელია. ჩვენ არ მიგვაჩნია, რომ ირანმა ამ პროექტში მონაწილეობა უნდა მიიღოს“.

ირანს ბუნებრივი აირის მარაგების მიხედვით მსოფლიოში მეორე ადგილი უჭირავს – თითქმის მთელი მსოფლიოს 16 პროცენტი, მაგრამ არა აქვს ძლიერი საექსპორტო ქსელი, ნაწილობრივ იმიტომაც, რომ აშშ-სა და გაეროს სანქციებმა დააფრთხო დასავლელი ინვესტორები.

„შეერთებული შტატები ცდილობდა ჩაერთო ირანი დისკუსიაში ჩვენი ურთიერთობებისა და ყველა საკითხის, მათ შორის ბირთვული პრობლემის გარშემო, მაგრამ ამ წინადადებაზე პასუხი არ მიგვიღია“, – განაცხადა მორნინგსატრმა.

REUTERS

## დედამიწის ზურგზე



**კორეის სახალხო-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ჩინეთის საზღვარზე გადაისროლა 300 ათასი ჯარისკაცი**

სამხრეთ კორეის საინფორმაციო წყაროების მონაცემებით, ფხენიანი ჯარებს გადაისვრის, რათა თავიდან აიცილოს თავისი ქვეყნის მოქალაქეთა მასობრივი გაქცევა ჩინეთში. ამტკიცებენ, რომ ქვეყანაში გამწვავდა სასურსათო კრიზისი. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების პროგნოზები სხვადასხვაგვარია: წერენ როგორც მომავალ შიმშილზე, ისე სტაბილურ სიტუაციაზე საკვებ პროდუქტებთან დაკავშირებით.

**ბრიტანეთის პრემიერის მრჩეველი დაავადდა გრიპით A/H1N1**

ამასთან დაკავშირებით გორდონ ბრაუნის მრჩეველი კლიმატის ცვლილებების საკითხებში არ ესწრებოდა დიდი რვიანის სამიტს იტალიის ქალაქ აკვილაში. მაიკლ იაკობსი მოლაპარაკებას აწარმოებდა ტელეფონით. მიაჩნიათ, რომ მან ახალი გრიპი აიკიდა მექსიკაში მოგზაურობის დროს.

**ტოკიოში პირველად 44 წლის განმავლობაში არჩევნები ოპოზიციამ მოიგო. იაპონიის პარლამენტს გაუშვებენ**



იაპონიის დედაქალაქის პარლამენტში ადგილების უმეტესობა მიიღო დემოკრატიულმა პარტიამ. ეს დარტყმა იყო მმართველი ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიისათვის. მისმა ლიდერმა, პრემიერ-მინისტრმა კარო ასომ ახალი არჩევნები დანიშნა 30 აგვისტოსთვის.

**სამხრეთ კორეის ტელევიზია: კიმ ჩენ ირი დაავადებულია კუჭქვეშა ჯირკვლის კიბოთი**



როგორც ამერიკის შეერთებული შტატებისა და სამხრეთ კორეის დაზვერვა ამტკიცებს, შარშან აგვისტოში კიმ ჩენ ირმა გადაიტანა ინსულტი და ნაწილობრივ პარალიზებული იყო. ვიდეოჩანაწერზე, რომელიც 8 ივლისს აჩვენეს და მიეძღვნა მამამისის გარდაცვალების 15 წლისთავს, ჩრდილოეთ კორეის ლიდერი გამოიყურებოდა მეტად გამხდრად და დათრგუნვილად.

**ასაფეთქებელი მოწყობილობა ამოქმედდა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის ავტოკოლონის მახლობლად ერაყში**

ამერიკელებიდან არავინ დაზარალებულა. მცირეოდენი დაზიანება მიიღო მანქანამ, რომელიც დაჯავშნული ავტომობილის წინ მიდიოდა. ინციდენტი მოხდა დი-კარის პროვინციაში სამხრეთ ერაყში. თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობა კვლავ მთავარი საფრთხეა ამერიკელი ჯარისკაცებისათვის ერაყში.

**ირანის ციხეებში 41 ჟურნალისტია**



ამ რიცხვში შედიან ის პირებიც, რომლებიც ავრცელებდნენ ხელისუფლებისათვის არახელსაყრელ ცნობებს ინტერნეტში. ორგანიზაცია „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „უმეტეს შემთხვევაში მათი ყოფნა ციხეში საშინელებაა“.

**ჰონდურასის „დროებითმა მთავრობამ“ გააუქმა კომენდანტის საათი**



იგი შემოღებული იყო ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ორი კვირის წინათ სამხედრო გადატრიალების შემდეგ და მოქმედებდა ომის შემდგომ დღეებში 23-დან 4 საათამდე. ჰონდურასი გადატრიალების შემდეგ საერთაშორისო იზოლაციაში მოხვდა.

◎ ჟურნალისტური გამოძიება

# სიმართლე არ დაიმალება

(მეხუთე გვერდიდან)

აქედან გამომდინარე ზურაბ მებონიას არანაირი კანონიერი უფლება არ ჰქონდა, ზემოთ აღნიშნული ფორმით მოეხსენებინა თავისი შეფასება გენერალ ზურაბ მამულაშვილის და მისი რაზმის წევრების დაჯილდოების საკითხთან დაკავშირებით.

არც აფხაზეთის 1994 წელს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ბ-ნ ზურაბ ერქვანიას ჰქონდა უფლება, მხარი დაეჭირა თავისი თანაშემწის დასმენითი ქმედებისთვის.

მათ აშკარად შეურაცხყვეს გენერალ ზურაბ მამულაშვილის და მისი რაზმის წევრების ღირსება, რის გამოც, მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, პასუხი უნდა აგონ.

„საქენერგოს“ ერთ-ერთი ხელმძღვანელის **ჯანსულ ეზუგბაიას** მტკიცებით, სოხუმჰესის მიტოვება ვერ მოახდენდა სოხუმის ელექტრომომარაგების პროცესის ოდნავ გაუარესებასაც კი, რადგან სოხუმის ელექტრომომარაგება ხორციელდებოდა ოჩამჩირიდან ცენტრალური ენერგოსისტემის მეშვეობით.

სოხუმჰესზე იმ დროს გენერალ ზურაბ მამულაშვილის რაზმის ყოფნა იყო განპირობებული მხოლოდ ერთი სტრატეგიული მიზნით – დაეცვათ ქალაქი სოხუმჰესის მიმართულებიდან მტრის შემოტევისგან.

**თეიმურაზ ხევსურიანი** კი, 1992-1993 წლებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უშიშროების სამინისტროს კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსი, აცხადებს:

**„კატეგორიულად არ ვეთანხმები ზურაბ მებონიას ეგრეთ წოდებულ მტკიცებულებებს, რომელთა გამოყენებით ის, ფაქტობრივად, ყოველმხრივ უსაფუძვლოდ სამშობლოს ღალატში ადანაშაულებს გენერალ ზურაბ მამულაშვილს და მისი რაზმის წევრებს.**

**1993 წლის 6 ივლისამდე, ანუ ერთი თვის განმავლობაში, გენერალი ზურაბ მამულაშვილი და მისი რაზმი იცავდნენ არა სოხუმჰესს, არამედ სოხუმს მტრის შესაძლო შეტევებისაგან. 1993 წ. 6 ივლისს, როცა გამთენიისას რაზმი აღმოჩნდა ალყაში და ორმხრივი ბრძოლა გრძელდებოდა თითქმის 8 საათის განმავლობაში, გენერალი რაციით შტაბისგან ითხოვდა დახმარებას, სულ ბოლოს სოფელ შრომაში განლაგებულ ჩვენს სამხედრო შტაბს რაციით შეატყობინა თავისი კოორდინატები და მოითხოვა, განეხორციელებინათ საარტილერიო დარტყმები, რადგან საბრძოლო მასალები რაზმს თითქმის გაუთავდა, და უძლური ხდებოდა, მტრისთვის გაეწია შეიარაღებული წინააღმდეგობა. საარტილერიო შეტევა არ განხორციელებულა. შექმნილ ვითარებაში გენერალი ზურაბ მამულაშვილი იძულებული გახდა, მიეღო ყოველმხრივ სამართლიანი გადაწყვეტილება.**

**ტყვედ ჩაბარებას თუ ვინმე აღიქვამს, როგორც მეომრისათვის დაუშვებელ ქმედებას, მაშინ გამოდის, რომ საბრძოლო მასალის უქონლობის გამო, უნდა დახოცილიყვნენ და არ ჩაბარებულიყვნენ ტყვედ. და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ – მე ვფლობ სრულ და დამადასტურებელ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ გენერალი ზურაბ მამულაშვილი იქ, გუდაუთაში ტყვეობაში ყოფნის დროსაც იყო ქართველი გენერალი, რომელიც თავგანწირული კაცური ქცევით მაგალითს აძლევდა ტყვეობაში მყოფ რაზმის მეომრებს. იქ დატრიალებული საშინელება არ აკარგვინებდა ძალას – რწმენას, რის შედეგადაც არც ერთმა მათგანმა არ შელახა ქართველი მეომრის ყველასათვის სამაგალითო სახელი. სწორედ ამიტომ სამშობლო დააფასებს თავის ღირსეულ შვილებს, მათ შორის გენერალ ზურაბ მამულაშვილს და მისი რაზმის ყველა წევრს“.**

საყურადღებოა 1993 წელს საქართველოს თავდაცვის მინისტრის **გიორგი ყარყარაშვილის** აზრიც:

**„გენერალი ზურაბ მამულაშვილი და მისი რაზმის მებრძოლები ჩვენი ქვეყნის ღირსეული შვილები არიან და სწორედ ამიტომ ღირსნი არიან იმისა, რომ სამშობლომ 1992-1993 წ.წ. ცნობილ მოვლენებთან დაკავშირებით ღირსეულად დააფასოს მათი ღვაწლი. მე პირადად ვამაყობ, რომ ზურაბ მამულაშვილი, როგორც ჩვენი ჯარის ერთ-ერთი ქვედანაყოფის მეთაური, აფხაზეთში ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად ჩამოვიდა არა მარტო თავის რაზმთან, არამედ თავის 14 წლის ვაჟიშვილთან ერთად, რომელმაც, ჩემი შეფასებით, იქ გამოიჩინა ნამდვილი გმირობა. ყველასათვის ცნობილი მიზეზების გამო, არ ვიცი, იყო თუ არა ეს ხალხი დაჯილდოებული სახელმწიფო ჯილდოებით და, თუ არ იყვნენ, აუცილებლად უნდა მოხდეს მათი დაჯილდოება“.**

ახლა მოვუსმინოთ **მზია ცხვარაძეს,** სოხუმჰესის უფროსის გურამ ცხვარაძის მეუღლეს, რომელიც 1993 წლის 6 ივლისს იყო ჰესის ტერიტორიაზე გამართული მრავალსაათიანი ბრძოლის უშუალო მონაწილე:

**„რაზმის მებრძოლები გმირულად ებრძოდნენ მტერს, რაც, ჩემი ღრმა რწმენით, სამაგალითოა მომავალ თაობებისათვის. ჩემში გაკვირვებას და ამავე დროს გაოცებას იწვევდა ის, რომ რაზმის ერთ-ერთ მებრძოლს წარმოადგენდა გენერალ ზურაბ მამულაშვილის 14 წლის ვაჟიშვილი მამუკა მამულაშვილი, რომელიც ერთი თვის განმავლობაში ჰესზე ყოფნისას მიმდინარე ბრძოლებში იჩენდა სიმამაცეს.**

**რაზმის მეთაური – გენერალი მამულაშვილი გამოირჩეოდა საოცარი სიმშვიდით, ის არც ერთხელ დაბნეულა. პირადად ჩემთვის ეს ბრძოლა საშინელებას წარმოადგენდა, სწორედ ამ ბრძოლის დროს ჩემ თვალწინ მტრის ტყვიამ სიცოცხლეს გამოასალმა ჩემი მეუღლე, რომელიც მთელი ამ დროის განმავლობაში რაზმის წევრებთან ერთად ავტომატით ხელში იგერიებდა მტრის შემოტევას“.**

გაოცებას იწვევს 1995-2003 წლებში „საქართველოს რკინიგზის“ გენერალური დირექტორის **აკაკი ჩხაიძის** განცხადება:

**„ჩემთვის არ არის ცნობილი იმის შესახებ, რომ ზურაბ მამულაშვილი იყო და არის გენერალი. გამიგია, რომ ის იყო აფხაზეთში მაშინ, როცა იქ ომი მიდიოდა. მე ყველანაირად ვეხმარებოდი მას და მისი რაზმის მეომრებს. ამიტომ მას და მისი რაზმის წევრებს არ უნდა ჰქონოდათ რაიმე სადავო რკინიგზასთან და მით უმეტეს პირადად ჩემთან. ჩემს დროს რკინიგზას და პირადად მე სასამართლო დავა არ გვქონია ზურაბ მამულაშვილთან და მისი რაზმის წევრებთან“.**

ბ-ნო აკაკი, ჩვენ მიერ მოპოვებული დოკუმენტური მასალები, ალბათ, „გაგაოცებთ“.

ბ-ნ ზურაბ მამულაშვილის გენერლობა თქვენთვის სავალდებულოდ უნდა ყოფილიყო ცნობილი, იმიტომ, რომ ის და მისი რაზმის წევრები იყვნენ საკადრო და ერთადერთი რკინიგზელები, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა 1992-1993 წლებში აფხაზეთში გამართულ ბრძოლებში, რაშიც თქვენ დარწმუნდებოდით, თუ გაეცნობოდით მათ საკადრო მონაცემებს.

რამდენად დამაჯერებელია ის, რომ თქვენ ხსენებული ინფორმაციით არ დაინტერესდით, როცა სწორედ ამ ადამიანს 1995-2003 წლებში პირადად თქვენთან არაერთხელ ჰქონდა უშუალო სამსახურებრივი შეხება, როცა ის იცავდა თავის და თავისი კოლეგების (ყოფილი შეიარაღებული დაცვის სამსახურის მუშაკების, რომლებიც 1992-1993 წ.წ. აფხაზეთში იბრძოდნენ სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად) უფლებებს, თქვენ საჭიროდ ჩათვალეთ რკინიგზიდან საბოლოოდ გაგეძევებინათ ისინი, რაც გამოიხატა იმაში, რომ – გააუქმეთ ქაღალდზე არსებული ბრძანება რკინიგზის უწყებრივი დაცვის სამსახურის არსებობის შესახებ და ამის სანაცვლოდ არანაირი ზომები არ მიგიღიათ, რათა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დაგესაქმებინათ ეს ხალხი რკინიგზაში, რაც ადასტურებს თქვენი მხრიდან საქართველოს კანონის „ვეტერანთა შესახებ“ უგულებელყოფას.

სწორედ თქვენ, ბ-ნო აკაკი, არ არსებული მიზეზით გააუქმეთ რკინიგზას და „მამულიშვილთან“ გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულება რკინიგზის ფეხით მოსიარულეთა ხიდის თაობაზე, რის გამოც რკინიგზელ მებრძოლებს არ მიეცით სასიცოცხლო არსებობის წყარო, რასაც მოჰყვა რკინიგზას და მათ შორის რვაწლიანი სასამართლო დავა, რომელიც თქვენი გავლენიანობის გამო თქვენი გამარჯვებით მთავრდებოდა.

შეგახსენებთ, რომ 1997 წელს საქართველოს ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის მინისტრის წერილობრივ მოთხოვნაზე, გეცნობებინათ სია იმ რკინიგზელებისა, რომლებმაც 1992-1993 წლებში აფხაზეთში საომარ მდგომარეობაში მიიღეს მონაწილეობა, არ გიხსენებიათ ზურაბ მამულაშვილი და მისი რაზმის წევრები.

შეგახსენებთ, იმასაც, რომ თქვენი თავკაცობით 1997 წელს დაიბეჭდა და საყოველთაოდ გავრცელდა „საქართველოს რკინიგზის ღირსების წიგნი“, სამარცხვინოა, რომ სწორედ „ღირსების წიგნში“ თქვენ, ბ-ნო აკაკი, თქვენი წინასიტყვაობის შემდეგ მე-2 ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით ფოტოსა და ამ ორდენით თქვენი დაჯილდოების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის განკარგულების ფონზე დაგავიწყდათ, რომ საქართველოს რკინიგზის ისტორიაში 1994 წელს პირველად იმავე ორდენით, მხოლოდ პირველი ხარისხისათი, დაჯილდოებული იყო გენერალ ზურაბ მამულაშვილის რაზმის აფხაზეთში დაღუპული 10 რკინიგზელი მებრძოლი. ნუთუ თქვენთვის ეს ფაქტი ცნობილი არ იყო, როცა სამარცხვინოდ ეწეოდით თვითრეკლამას?

**დარწმუნებული ვართ, რომ ყველა ის პირი, რომელთა ქმედებით ბოლო 16 წლის განმავლობაში ხორციელდებოდა გენერალ ზურაბ მამულაშვილის და მისი რაზმის წევრების დევნა, კანონის წინაშე სათანადო პასუხს აგებს.**

**თენგიზ ჩხიკვაძე,**
**ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცე“**

◎ ვაი ყოფისაგან

# ბანკმა ხელფასი დამიყადაღა!

(მეხუთე გვერდიდან)

ასეთი ფაქტები საქართველოში თითზე ჩამოსათვლელი რომ იყოს, რა გვიჭირდა, მაგრამ თუ მან უკვე მასობრივი ხასიათი მიიღო? ოფიციალური მონაცემებით, ბანკების „შავ სიაში“ მოხვედრილთა რაოდენობამ უკვე 198 ათასს გადააჭარბა, რაც იმას ნიშნავს,რომ პრობლემა ბანკებისა და კლიენტების ურთიერთობის ზღვარს გასცდა და სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის რეზონანსი შეიძინა. იმის მიუხედავად, რომ კომერციულმა ბანკებმა კრედიტების გაცემა მაქსიმალურად შეზღუდეს (გასული წლის დეკემბრიდან ის 11 პროცენტით შემცირდა), პრობლემური სესხების ოდენობა მაინც მატულობს, გაცემული კრედიტებიდან 5 პროცენტი ვადაგადაცილებულია, თანაც ამ კატეგორიის სესხების რაოდენობა ბოლო ერთ თვეში 48,5 მილიონი ლარითაა გაზრდილი.

ერთი სიტყვით, სურათი მძიმეა, რომელიც, ერთი მხრივ, კომერციულ ბანკებს ავიშვიშებს (არ უნდათ შეიმჩნიონ, მაგრამ ასეაძ, ხოლო, მეორე მხრივ, ჯიბეგაფხეკილ მოვალეებს, რომლებიც მსოფლიოში მოდებული კრიზისის, უმუშევრობის, შემოსავლების შემცირების თუსხვა ფინანსური პრობლემების გამო ბანკებს ვალებს ველარ უბრუნებენ.



და არის ერთი „გაწევ-გამოწევა“, დღე ერთია და სატელეფონო ზარები უამრავი – ურეკავენ, სთხოვენ ნასესხები თანხის დაბრუნებას, უარის შემთხვევაში ქონების დაყადაღებით და სასამართლოში ჩივილით ემუქრებიან. თუ ვინმეს „ღმერთი გაუწყრა“ და მუშაობა დაიწყო, ხელფასს მაშინვე დაუყადაღებენ (როგორც უკვე ვნახეთძ და მშიერ-მწყურვალს დატოვებენ.

ასეთ დროს ბანკებსაც ვერ გაამტყუნებ, რა ქნან, ვალები თუ არ ამოიღეს, თავადაც ფინანსური პრობლემის წინაშე დადგებიან (თუ უკვე არ დგანანძ. პრობლემას შედარებით იოლად წყვეტენ, თუ მსესხებელს გირაოში ქონება აქვს ჩადებული. ამ შემთხვევაში ბანკს თავის ბალანსზე გადააქვს ქონება, აუქციონზე ყიდის და ვალს იბრუნებს. მაგრამ ცნობილი საკრედიტო ბუმის დროს, რაც ხელისუფლების მიერ ბანკებზე ზეწოლითა და ერთგვარი წახალისების გზით მოხდა, მოქალაქეთა დიდმა ნაწილმა კრედიტები ქონებრივი უზრუნველყოფის გარეშე, პირადობის მოწმობის „პრესტიჟით“ გაიტანა. ეს ის კატეგორია გახლავთ, რომლის სახითაც ბანკებს შარშანდელი აგვისტოს შემდეგ უამრავი პრობლემური მსესხებელი დაუგროვდა.

ჰოდა საქმე ნამეტანი რომ არ გართულებოდათ, ბანკებმა ბევრი იფიქრეს თუ ცოტა იფიქრეს, იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მოვალეებთან საურთიერთოდ უფრო მომგებიანი ფირმები გამოეძებნათ. გამოძებნეს კიდეც და მათ პრობლემური მსესხებლები გადააბარეს. ამ უკანასკნელთათვის გალეების ამოღებაზე სწორედ ეს მეშვეალედები მუშაობენ. რა თქმა უნდა, ბარკველი გამოსამკვრელი მილიკის პირობით – ბანკები მათ მოვალეებისგან ამოღებული თანხის 3-4 პროცენტს უხდიან.

ეს ჩვენთან, საქართველოში ხდება, სადაც ყველაფერი თავდაყირა დგას, თორემ ნორმალურ, ცივილიზებულ ქვეყნებში სახელმწიფო ასეთ დროს, როგორც წესი, აღიარებს პრობლემების მნიშვნელობას და სასწრაფო ღონისძიებებსაც ახორციელებს. ჩვენთანაც მოითხოვეს ოპოზიციურმა პარტიებმა, ხელისუფლებას ანგარიში გაეწია საკუთარი გაჭირვებული მოქალაქეებისთვის, დროებით, ვიდრე კრიზისი გადაივლის, მათი ვალი გაესტუმრებინა და შემდეგ თანხა მათგანვე ამოეღო, მაგრამ როგორც ყოველთვის, მთავრობამ ამჯერადაც „ჩაისვარა“, მოიმიზეზა სახელმწიფო კერძო საქმეებში ვერ ჩაერევა, ბაზარი ყველაფერს თავისით დაარეგულირებსო და ამ საქმისგან, როგორც იტყვიან, ხელები დაიბანა. არადა მთავრობა ამ ღონისძიების მეშვეობით მართლაც ორ კურდღელს ერთად დაიჭერდა – გაჭირვებული მოქალაქეები დროებით მაინც ამოისუნთქავდნენ ვალების გადახდის მარწუხისგან და ბანკებიც უკეთეს ფინანსურ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ.

ისე, როცა ტრაბახზე მიდგება საქმე, პრეზიდენტი მაშინვე ბანკების გამართული მუშაობით დაიმშვენებს ხოლმე „ჩოხა-ახალუხს“. ნახეთ, ნახეთ, რა ხდება, – ამბობს სახეგაბადრული, – ამ ვაიუშველებელი მსოფლიო კრიზისის პირობებში, ყველგან, ამერიკაში, ევროპაში, აზიაში, ჩამოიშალა ბანკები, ჩვენთან კი მათ თმის ღერიც არ შერხევიათო. კარგია, რომ საქართველოს ბანკები დროულად გამოფხიზლდნენ და ბოლომდე არ გაჰყვნენ „იაფი კრედიტის“ მორიგ სამთავრობო შტურმს, თორემ პრეზიდენტს სატრაბახოდ რაღა დარჩებოდა? თუმცა, მეც ვამბობ რა, რუსეთზე გამარჯვება ვითომ საბანკო მიღწევებზე ნაკლებ პრესტიჟულია? ასე რომ, გული არ გაიტეხოთ, ბატონო პრეზიდენტო (გულგატეხილი მიშა ჯერ არავის უნახავს, მაგრამ მაინც...ძ, იმ გამარჯვების წყალობით მართალია ტერიტორიები დაკარგეთ, მაგრამ საბანკო კრიზისი, როგორც თქვენ ბიუჯეტს ხოლმე თქმა, რუსეთს მთელი მსოფლიოს თვალში ნამუსის შარვალი ჩახადეთ, თანაც დემოკრატიის იმხელა მოსხაპი გავლეთ, მთელ დუნია გაცეკვება. ამაზე მეტი სატრაბახო რაღა გინდათ?!

**ოთარ ხუციშვილი**

ჭიდაობა

# დაბრუნება „დიდი პრიზით“



**მადრიდში ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებისთვის „დიდი პრიზი“ გათამაშდა. შეჯიბრებაში ათთვიანი იძულებითი შესვენების შემდეგ პირველად ჩაება მსოფლიოს და ევროპის ორგზის ჩემპიონი, ათენის ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანი რამაზ ნოზაძე (მან ამ ხნის განმავლობაში ორი ოპერაცია გაიკეთა).** ქართველმა ფალავანმა (96 კგ) ზედიზედ სძლია ფინელ ეეტუ ლუომას, მის თანამემამულე რამი ჰიეტანიემის, ყაზახ მარგულან ასამბეკოვს და ფინალში გავიდა, სადაც, ასევე ორ პერიოდში დაამარცხა რუმინელი ალინ ალექსუსი და მთავარ პრიზს დაეუფლა. ჩინებული დასაწყისია. მით უმეტეს, რომ ორ თვეში დანია მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს და რამაზ ნოზაძემ, შესაძლოა, იმ დროისთვის სპორტული ფორმა სრულად აღიდგინოს.

ესპანეთის დედაქალაქში იჭიდავა ოლიმპიურმა ჩემპიონმა მანუჩარ კვირკველიამაც (84 კგ). იგი საბოლოოდ მე-5 ადგილს დასჯერდა.

**სურათზე: მანუჩარ კვირკველია (მარცხნივ) და რამაზ ნოზაძე. ვაჟა დანელიას ფოტო.**

ჩოგბურთი

# მეორე ადგილს დასჯერდა



**თურქეთის ქალაქ გაზიანთეფში დამთავრდა ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 10 ათასი დოლარი), რომელშიც წარმატებით იასპარეზა 19 წლის მანანა შაფაქიძემ (რეიტინგი – 723).** მან ზედიზედ ოთხ მეტოქეს სძლია – ფრანგ ელოდი როჟე დიტრიხს (939), ავსტრალიელ ჯეიდ ჰოფერს, უკრაინელ იულიანა უნამეცს (1131), იტალიელ ფედერიკა გრაციოზოს (757) და ფინალში პირველ ნომრად განთესილ 28 წლის პორტუგალიელ მაგალი დე ლატრეს (438) დაუპირისპირდა. ქართველი ჩოგბურთელი დაძაბულ ბრძოლაში დამარცხდა 6:7, 3:6 და მეორე ადგილს დასჯერდა.

მძლეოსნობა

# 8 მედალი აღთქმული მიწიდან



**ისრაელში დამთავრდა ქვეყნის მძლეოსანთა ღია ჩემპიონატი, რომელშიც 10 ქართველი სპორტსმენიც მონაწილეობდა.** დავით ილარიანმა (110 მ. თარჯრბენი, 13,8 წ.), როსტომ ჭინჭარაულმა (შუბის ტყორცნა, 68,28 მ.) და ზურაბ გიგაიამ (ბირთვის კვრა, 17,0 მ.) ოქროს მედლები დაიმსახურეს. ლერი ჩიტაიშვილი (უროს ტყორცნა, 63,11 მ.) და ენდრიკ ზილბერშტეინი (400 მ. 47,96 წ.) მეორე ადგილებს დასჯერდნენ, ხოლო ბოლესლავ სხირტლაძეს (სიგრძეზე ხტომა, 7,39 მ), თენგიზ ღვინჯილიას (800 მ. 1.51,83) და ზურაბ გიგაიას (ბადრო, 43,01 მ.) „ბრინჯაო“ ხვდათ.

რაგბი

# შვიდკაცამ ვერ იყოჩაღა



**გასულ უქმეებზე ჰანოვერში შვიდკაცა რაგბის ევროპის ჩემპიონატი გაიმართა. მედლებისთვის 10 ქვეყნის წარმომადგენლები იბრძოდნენ.** საქართველოს ნაკრებმა ქვეჯგუფში პორტუგალიას (12:7) და პოლონეთს (26:19) სძლია, ესპანეთთან (10:26) და იტალიასთან (5:33) დამარცხდა, რამაც მხოლოდ მე-5 ადგილისთვის ბრძოლის შანსი მისცა. ბორჯღალოსნებმა იგი გამოიყენეს – ჯერ რუმინეთს მოუგეს 17:4, შემდეგ კი მოლდოვას – 31:5.

ოქროს მედლები რუსებმა მოიპოვეს, რომლებმაც ფინალში ფრანგებს აჯობეს 26:19 და ქვეჯგუფში მარცხისთვის (12:15) რევანში აიღეს. ბრინჯაოს მედლები ესპანელთა მძლეველ (19:12) იტალიელებს ხვდათ.

ფეხბურთი

# გვადელუპეს გაბრწყინება

**ამერიკის შეერთებული შტატების სტადიონებზე დასრულდა კონკაკაფის ოქროს თასის გათამაშების პირველი ეტაპი.**

როგორც მოსალოდნელი იყო, ფავორიტებმა უპრობლემოდ გაიკვლიეს გზა პლეი-ოფისკენ, თუმცა არის ისეთი გუნდიც, რომელმაც დიდი სენსაცია შემოგვთავაზა. ესაა კუნძულ გვადელუპეს ეროვნული ნაკრები, რომელმაც ჩრდილოეთ ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის სახელმწიფოთა კონტინენტურ ფორუმში სადებიუტო მონაწილეობა ორი გამარჯვებითა და, რაც მთავარია, უძლიერესთა ოქტეტში ვადამდე გასვლით აღნიშნა.

ზემოთ ზოგადად კი გავუსვით ხაზი ბოზბოლათა ლოკალურ წარმატებას, მაგრამ ვფიქრობთ მათზე ორიოდე სიტყვა კვლავ უნდა ითქვას. უპირველესად მასპინძელთა შესახებ.

მოგეხსენებათ, სამხრეთ აფრიკაში ახლახან გამართულ კონფედერაციათა თასის გათამაშებაში ბილ ბრედლის შეგირდებმა ფურორი მოახდინეს და ფინალშიც ღირსეულად გაუმკლავდნენ ბრაზილიელებს. მართალია, მომქანცველი მარათონის შემდეგ ამერიკელთა თავკაცმა საფუძვლიანად გადაახალისა თავისი გუნდის შემადგენლობა, მაგრამ იგი ყველასთვის მრისხანე მეტოქედ რჩება.

რაც შეეხებათ მექსიკელებს, ოსტატობასთან ერთად ისინი, ტრადიციისამებრ, ემოციურობითაც გამოირჩევიან, რაც განვლილ მატჩებში მსაჯების მიერ ორივე მიმართულებით მრავალგზის აფრიალებული წითელი ბარათებით გამოიხატა. საგულისხმო ფაქტია, რომ ერთ-ერთი სკანდალის გამომწვევად მათი მწვრთნელი ხავიერ აგირე მოგვევლინა.



**„ა“ ჯგუფი.** კანადა – იამაიკა 1:0, სალვადორი – კოსტა რიკა 2:1, კანადა – სალვადორი 1:0, კოსტა რიკა – იამაიკა 1:0, კანადა – კოსტა რიკა 2:2, იამაიკა – სალვადორი 1:0.

კანადა – 7, კოსტა რიკა – 4, იამაიკა, სალვადორი – 3-3 ქულა.

**„ბ“ ჯგუფი.** აშშ – გრენადა 4:0, ჰონდურასი – ჰაიტი 1:0, აშშ – ჰონდურასი 2:0, ჰაიტი – გრენადა 2:0, აშშ – ჰაიტი 2:2, ჰონდურასი – გრენადა 4:0.

აშშ – 7, ჰონდურასი – 6, ჰაიტი – 4, გრენადა – 0 ქულა.

**„გ“ ჯგუფი.** მექსიკა – ნიკარაგუა 2:0, გვადელუპე – პანამა 2:1, მექსიკა – პანამა 1:1, გვადელუპე – ნიკარაგუა 2:0, მექსიკა – გვადელუპე 2:0, პანამა – ნიკარაგუა 4:0.

მექსიკა – 7, გვადელუპე – 6, პანამა – 4, ნიკარაგუა – 0 ქულა.

**მეოთხედფინალები**

**18 ივლისი.** კანადა – ჰონდურასი, აშშ – პანამა.

**19 ივლისი.** გვადელუპე – კოსტა რიკა, მექსიკა – ჰაიტი.

დავძენთ, რომ ნახევარფინალური შეხვედრები 23 ივლისს მოეწყობა, ხოლო ფინალი – 26 ივლისს.

**გიორგი შოთაძე**

დევისის თასი

# ამას ვინ წარმოიდგენდა



მარინ ჩილიჩი

**როცა დევისის თასის წლევანდელი გათამაშება იწყებოდა, ალბათ ვერავინ იწინასწარმეტყველებდა, რომ ნახევარფინალში მეტოქენი ასე დაწყვილდებოდნენ: ჩეხეთი – ხორვატეთი და ისრაელი – ესპანეთი.**



თუ ტრავმირებული რაფაელ ნადალის არყოფნის მიუხედავად პირენეელთა ეს წარმატება არავის გაჰკვირვებია, დანარჩენთა, განსაკუთრებით ებრაელთა ასეთი აღზევება მართლაც რომ ძნელად პროგნოზირებადი იყო. დავძენთ, რომ რუსებთან მათ შთამბეჭდავ გამარჯვებაში (4:1) დიდი წვლილი დუდი სელამ შეიტანა.

თავისი გმირები ჰყავდა დანარჩენ მეოთხედფინალურ წყვილებსაც. ესენი არიან **მარინ ჩილიჩი** (ხორვატეთი – აშშ 3:2), რომელმაც თანამემამულეებს გადამწყვეტი ქულა ჯეიმს ბლეიქის ძლევით მოუტანა, **რადეკ შტეპანეკი** (ჩეხეთი – არგენტინა 3:2), ვინც უკანასკნელ ბრძოლაში ხუან მონაკოს დააყრევინა ფარ-ხმალი და უბერებელი **ხუან კარლოს ფერერო** (ესპანეთი – გერმანია 3:2), სათანადო კონდიციებიდან შორს მყოფი ტონი როზრედო და დავიდ ფერერი რომ შეცვალა ღირსეულად.

ინტერნეტიდან

## ოთხნი იბრძოლებენ

**რომში გაიმართა მძლეოსანთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ დაწესებული „ოქროს ლიგის“ მესამე ეტაპი. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი სპრინტერებმა 100 მეტრზე გარბენში.** ერთბაშად 4 სპორტსმენმა 10 წამზე უკეთესი შედეგი აჩვენა. გაიმარჯვა ამერიკელმა გეიმ – 9,77 წამი. შემდეგ მოდიან პაუელი (იამაიკა) – 9,88, ბლეიკი (იამაიკა) – 9,96 და ბეილი (ანტიგუა და ბარბუდა) – 9,97.

ქალთა შორის 100 მეტრზე სირბილში პირველი იყო იამაიკელი კერიონ სტიუარტი – 10,75.

„ოქროს ლიგის“ სამი ეტაპის შემდეგ ჯეკ-პოტისთვის ბრძოლას აგრძელებენ: კენენისა ბეკელე (ეთიოპია – 5000 მ.), ამერიკელი სანია რიჩარდსი (400 მ), კერიონ სტიუარტი (იამაიკა) და რუსეთელი ელენა ისინბაევა (ჭოკით ხტომა – ამჯერად 4,85 მეტრი აჩვენა).

## „დიდი ძმა“ დეფოს იზიდავს

**ინგლისური „ტოტენჰემის“ ფეხბურთელმა ჯერმეინ დეფომ ახალი სატრფო გაიჩინა, ტრადიციულად ისიც ტელეშოუს „უფროსი ძმა“ მონაწილეა.**



თავდამსხმელის რჩეულს იმოგენ ტომსს ეძახიან. ამ ლამაზმანს „უფროს ძმასთან“ ერთად რომანი ჰქონდა კრიშტიანუ რონალდუსთან და დუაიტ იორკთან, ულამაზესი ირლანდიელის ცდუნებას რომ ვერ გაუძლეს.

ასევე მოკლე როდია თავად დეფოს რჩეულთა სიაც, რომელშიც არიან „უფროსი ძმის“ ვარსკვლავები შანტელ ჰოუტონი და დანიელ ლოიდი.

ცურვა

# პირსოლის მეორე რეკორდი



**აშშ ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობა მსოფლიოს რეკორდების დამყარების დიდებული საშუალება გახდა. ჩვენი გაზეთის წინა ნომერში უკვე ვწერდით, რომ იქ ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა 14-გზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა მაიკლ ფელპსმა.** მას არც მეორე ამერიკელი მოცურავე არიან პირსოლი ჩამორჩა, ინდიანაპოლისში 200 მეტრზე ზურგით ცურვაში მან აჩვენა დღესდღეობით საუკეთესო შედეგი – 1 წუთი და 53,08 წამი. რითაც დაამხო თავისივე თანამემამულის რაიან ლოხტის პეკინის ოლიმპიადაზე ნაჩვენები შედეგი. აღსანიშნავია, რომ ლოხტის რეკორდი ჯერ კიდევ 10 მაისს განაახლა იაპონელმა რიოსუკე ირიმ, დისტანცია ლოხტიზე 1,08 წამით ჩქარა რომ გაცურა, თუმცა მისი რეკორდი ცურვის საერთაშორისო ფედერაციამ (FINA) არ ჩათვალა, რადგან მოცურავეს ახლადშემოღებული საბანაო კოსტიუმი არ ეცვა.

შეგახსენებთ, რომ პირსოლმა აქვე უფრო ადრე დაამყარა მსოფლიო რეკორდი 100 მეტრზე პირაღმა ცურვაში – 51,94.

აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ამერიკული ჩემპიონატი ითვლება მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირად. ის კი რომში 18 ივლისიდან 2 აგვისტომდე უნდა გაიმართოს.

რუბრიკის პრემიერა

# კურიოზები, წკიპურტები, მიქარვები

გი-გა (გივი გამრეკელი) რომ დაბერდა, მთლად ტრაბახად იქცა. ვინ აღარ მასწავლიდაო, სად აღარ ვყოფილვარო (ცხონებული დავით მჭედლიშვილი ამ მხრივ მართლაც ძალიან ათამამებდა!), რა წიგნი გნებავთ, მე რომ არ მქონდესო (აჭარბებს, ძალიან აჭარბებს!), ვისთან აღარ მითამაშიაო (თუ ქართველ მოჭადრაკეებს გულისხმობს, ეს მართლაც ასეა). ხომ გახსოვთ, იოსებ გრიშაშვილი გიორგი სკანდარნოვაზე წერდა, ეს კაცი მთლად ირონია გახდაო. ისე კი სკანდარნოვას გი-გა ნუ შეედრება, გიორგი მაინც პოეტი იყო.

ახლა კი ადგა და „კურიოზების სკივრი“ შემოგვთავაზა. მწერლებიც „მოიკითხა“, პოლიტიკოსებიც, ისტორიკოსებიც, ასე გასინჯეთ, მოჭადრაკეებიც, გნებავთ ნაირ-ნაირი სპორტსმენებიც. ისე კი, კარგა დიდი აჯაფსანდალი გამოუვიდა. თან გვითხრა, მე დიდი ადგილი არ მინდა, მოკლე შეგონებებს, წკიპურტებს, კალამბურებს, წიწაკამოყრილ მიქარვებს გთავაზობთო. ვნახოთ, რა მოგვიტანა... აჯაფსანდალი ხომ გემრიელია.

### ბარემ ჯერ ფრანგული ესწავლა

უკვე თავისი დიდების ზენიტში მყოფმა ვიქტორ ჰიუგომ იკითხა, ვინ იყო სტენდალი. შემდეგ ითხოვა, მისი ერთ-ერთი წიგნი მოეტანათ. დაინტერესდა, სტენდალი ცოცხალი იყო თუ მკვდარი.

როცა უთხრეს, რომ მწერალი კარგა ხნის წინათ გარდაიცვალა, ჰიუგომ ასე უპასუხა:

— მკვდარია? კიდევ კარგი, თორემ მე მას ვურჩევდი, ჯერ ფრანგული ესწავლა და მხოლოდ შემდეგ დაეწყო წერა.

### ვიქტორ ჰიუგოს პუნში

ვიქტორ ჰიუგო არაჩვეულებრივად ბევრს ჭამდა. თეოფილ გოტიეს თუ დავუჯერებთ, მისი მადა თვით გარგანტუასაც კი გააკვირვებდა.

ბევრს ეცინებოდა. ჰიუგოს შეეძლო ორივე ყბაში შაქრის ნატეხები ჩაედო, პირში კი ფორთოხალი, ლიმონის ნაჭრებიც ჰქონოდა და ნახევარი ჭიქა პუნშიც დაელია. ყოველივე ამას ერთმანეთში რომ შეურევდა, გამოდიოდა კარგი რამ, გემოთი ყველაფრისგან რომ განსხვავდებოდა.

ასე შეიქმნა თავისებური სასმელი, რომელსაც ვიქტორ ჰიუგოს პუნში დაერქვა.

### „სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი“

ონორე დე ბალზაკი პარიზის განთქმულ პერ-ლაშეზზე დაასაფლავეს. თავის შთაგონებულ სიტყვაში ვიქტორ ჰიუგომ აღნიშნა: „მისი ყველა წიგნი ერთ დიდ წიგნს წარმოქმნის, ცოცხალს, ბრწყინვალეს, ღრმ ას, სადაც ცოცხლობს და მოძრაობს ჩვენი საშინელი, სახიფათო და, ამავე დროს, რეალური თანამედროვეობა“. თვით ბალზაკი საკუთარ თავს „სოციალურ მეცნიერებათა დოქტორს“ უწოდებდა, დღეში 12-14 საათს წერდა და ასე შექმნა „ადამიანური კომედია“, ფანტასტიკურ ჩანაფიქრს განუხრელად ახორციელებდა. მის 96, ერთმანეთთან დაკავშირებულ ნაწარმოებში 2 ათასზე მეტი პერსონაჟია, თანამედროვეობა ყოველი მხრიდან არის ასახული. როცა ბალზაკის ამ განუმეორებელ „კომედიას“ ეცნობი, შეიძლება ბევრი რამ ჩვენს ცხოვრებასაც დაუკავშირო.

მოგვმართავენ, გვეკითხებიან

რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.

**კითხვა:** გთხოვთ განგვიმარტოთ, შეიძლება თუ არა გაფიცვა გახდეს შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი, პასუხი დროულად მაცნობეთ, თორემ უკანონოდ მექცევიან.

**მკითხველი**

**პასუხი:** მოქმედი კანონის თანახმად დასაქმებულთა მონაწილეობა გაფიცვაში არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც შრომის დისციპლინის დარღვევა და შრომითი ხელშეკრულების მოშლის საფუძველი, გარდა უკანონო გაფიცვის შემთხვევებისა.

**კითხვა:** რა შემთხვევაში ვართ ვალდებული დასაქმებულები შევასრულოთ ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურების გარეშე?

**მირონ ტყემალაძე**

**პასუხი:** კანონის თანახმად დასაქმებული ვალდებულია შეასრულოს ზეგანაკვეთური სამუშაო სტიქიური უბედურების თავიდან ასაცილებლად ან მისი შედეგის ლიკვიდაციისთვის — ანაზღაურების გარეშე; საწარმოო ავარიის თავიდან ასაცილებლად ან მისი შედეგების ლიკვიდაციისთვის — სათანადო ანაზღაურებით. სხვა შემთხვევაში ზეგანაკვეთური მუშაობის ანაზღაურების საკითხი მოქმედი შრომის კოდექსის შესაბამისად წესრიგდება შრომითი ხელშეკრულებით.

* * *

**კითხვა:** გთხოვთ, გვაცნობოთ, შეიძლება ჩემი, როგორც ინვალიდის დასაქმება ზეგანაკვეთურ სამუშაოს შესასრულებლად?

**კოსტა ნამორაძე**

**პასუხი:** არა, არ შეიძლება. კანონით აკრძალულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ზეგანაკვეთურ სამუშაოზე დასაქმება მისი თანხმობის გარეშე.

* * *

**კითხვა:** ვარ მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი (II ჯგუფის ინვალიდი). ნამუშევარი მაქვს 31 წელი, როგორც გავიგე აპრილიდან მხოლოდ ასაკით პენსიონერებს ეზრდებათ პენსია. შეღავათები მოსპობილი გვაქვს II ჯგუფის ინვალიდებს. შეიძლება გადავიდე ასაკით პენსიაზე, რომ ცოტა მეტი პენსია მივიღო?

**პასუხი:** დიახ, სრული უფლება გაქვთ; თუ 65 წლის ბრძანდებით, გირჩევთ პენსიის შეცვლის თაობაზე დაუყოვნებლივ მიმართოთ განცხადებითა და შრომის სტაჟის დამადასტურებელი საბუთებით თქვენი რაიონის სოციალური სუბსიდიების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-65-87.**

ხსოვნა

# ოთარ ნაფეტვარიძე



ორმოცი დღე გავიდა, რაც ამ ქვეყნიდან წავიდა შესანიშნავი ადამიანი, სამამულო ომის და შრომის ვეტერანი, ცნობილი ჟურნალისტი ოთარ ნაფეტვარიძე. იგი დაიბადა 1924 წელს სამტრედიის რაიონის სოფელ ბაშში და იქვე მიიღო საშუალო განათლება. 1937 წელს მისი მამის, თვალსაჩინო პედაგოგის ვანო ნაფეტვარიძის, „ხალხის მტრის“ იარლიყით დაპატიმრების შემდეგ ბატონი ოთარი 5 დედმამიშვილთან ერთად ობლობაში გაიზარდა. საგულისხმოა, რომ ის „ხალხის მტრის“ შვილი 18 წლის ასაკში მოხალისედ წავიდა დიდ სამამულო ომში და სამ უფროს ძმასთან ერთად აქტიურად იბრძოდა ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ, რითაც როგორც თავისი ქვეყნის თვალსაჩინო პატრიოტებმა ღირსეულად მოიხადეს თავიანთი ვალი სამშობლოს და ხალხის წინაშე. ოთარი დაჯილდოებული იყო სამამულო ომის II ხარისხის ორდენით და მთავრობის სხვა ჯილდოებით.

ომის დამთავრების შემდეგ საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზაციის შემდეგ მან წარჩინებით დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი და ჩაება შრომით საქმიანობაში. ერთხანს მუშაობდა საშუალო სკოლის მასწავლებლად. შემდეგ კი ათეული წლების განმავლობაში აქტიურად მოღვაწეობდა პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. აღსანიშნავია მისი ნაყოფიერი მუშაობა მშობლიური სამტრედიის რაიონის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე, სადაც უდიდესი ენერგია ჩააქსოვა მის კეთილმოწყობის და საქალაქო მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეში.

1971 წლიდან ბატონი ოთარი მუშაობდა სამტრედიის რაიონის გაზეთ „მაცნეს“ განყოფილების გამგედ და აქტიურად მონაწილეობდა მრავალი საჭირბოროტო საკითხის გაშუქებაში. ის როგორც მრავალმხრივ განათლებული და გამოცდილი ჟურნალისტი ასევე ეწეოდა სამწერლო-პუბლიცისტურ საქმიანობას. არის მრავალი მემუარული ნაწარმოების, საინტერესო სტატიების და ნარკვევის ავტორი, იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის და საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი, პერსონალური პენსიონერი.

ბატონი ოთარი როგორც ბუნებით დაჯილდოებული იშვიათი სულიერების ადამიანი, საზოგადოებაში გამოირჩეოდა თავისი კეთილშობილებით, კაცთმოყვარეობით და მეგობრების სიყვარულით. მან როგორც ყოვლად უპრეტენზიო ადამიანმა კაცურად იშრომა საზოგადოების საკეთილდღეოდ და სამშობლოს აღუზარდა ღირსეული შვილები. საქმის ერთგულებამ და შესაშურმა ადამიანურმა თვისებებმა მას დამსახურებული ავტორიტეტი მოუპოვა საზოგადოებაში, კოლეგებსა და მეგობრებს შორის.

ოთარ ნაფეტვარიძის — პატიოსანი, განათლებული და ჩინებული ადამიანის სახელი სამუდამოდ დარჩება მისი მეგობრების და ახლობლების ხსოვნაში.

გ. ხაზარაძე, ა. უჯმაჯურიძე, თ. იმედაძე, დ. იმნაიშვილი, მ. სტურუა, ბ. გოგია, ლ. თვალავაძე, ხ. კაშმაძე, ს. ნინუა, რ. კანდელაკი, დ. ცქიტიშვილი, ა. კაშია, შ. თევდორაძე.

# თვალსაჩინო ინჟინერ-გეოლოგი

**იური არჩაია**



ის გარდაიცვალა 2003 წელს 73 წლის ასაკში. მისმა მოულოდნელმა სიკვდილმა ფართო საზოგადოებას დაწყვიტა გული. ბატონი იური არჩაია მდიდარი და უზადო ბიოგრაფიის ადამიანი გახლდათ, დაფასებული ყველა საქმეში. იყო უერთგულესი მეგობარი, დიდებული პიროვნება და მოქალაქე, თვალსაჩინო ინჟინერ-გეოლოგი, ღრმად განსწავლული მეცნიერ-მკვლევარი.

1952 წელს იურიმ წითელ დიპლომზე დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი სამთო ინჟინერ-გეოლოგის კვალიფიკაციით.

შრომითი მოღვაწეობა დაიწყო უკრაინაში ქ. დნეპროპეტროვსკში, ხოლო 1957 წელს გააგრძელა აფხაზეთში რ/ს „საქმინგეოკაპტაჟმინწყლებში“ სოხუმის გეოლოგიური პარტიის უფროსად. 1976 წელს დაინიშნა რ/ს „საქგეოკაპტაჟმინწყლების“ უფროსად, სადაც უდიდესი წვლილი შეიტანა საქართველოს კურორტების მშენებლობასა და განვითარებაში.

1976 წელს მიენიჭა გეოლოგია-მინერალოგიის კანდიდატის წოდება. იყო საქართველოს დამსახურებული გეოლოგი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, შრომის ვეტერანი.

სულით მხნეობას ბატონი იური ბოლომდე არ მიუტოვებია, ჯანის სიმრთელემ სავალალოდ უღალატა, მაგრამ მისთვის არასოდეს უღალატია მაღალ ადამიანურ ღირსებას, შინაარსიანად იცხოვრა და ვალმოხდილი წავიდა ჩვენგან. 14 ივლისს მას 80 წელი შეუსრულდებოდა.

შვილები, მეგობრები, საქართველოს გეოლოგიური საზოგადოება.

დედა ნორა, მეუღლე გიული, შვილები ლენა, ეკა, ძმები გურამ, ზურაბი, ძმისწულები გიორგი, ლუკა, დავით შენგელიები, დეიდა ჟუჟუნა თოდუა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თამაზ შენგელია

პანაშვიდი 15, 16, 17 VII, 17 სთ. გამოსვენება 18 VII, 15 სთ. მისამართი: დაბა წყნეთი — ქვემო წყნეთი.

---

მეგობრები ამირან დოლიძე, სერგო აბაშიძე, კოტე კუჭუხიძე, რომან სულაბერიძე, ჯემალ ხუხუა, რეზო ჩიქოვანი, თემურ ყურაშვილი, მევლუდ ასლანიკაშვილი თანაუგრძნობენ გურამ და ზურაბ შენგელიებს ძმის

თამაზ შენგელიას

გარდაცვალების გამო

---

მეგობრები მერაბ დგებუაძე, რეზო გერგედავა, გურამ მაღლაკელიძე თანაუგრძნობენ ზურაბ შენგელიას ძმის

თამაზ შენგელიას

გარდაცვალების გამო.

---

ავთანდილ და ამირან დოლიძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თამაზ შენგელია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ცენტრალური კავშირის პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სამამულო ომისა და შრომის ვეტერანი, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი, ცნობილი მწერალი და პუბლიცისტი, პერსონალური პენსიონერი

ოთარ ნაფეტვარიძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

თემურ ხაზარაძე, გურამ კალანდაძე და ომარ გერაძე მწუხარებით იუწყებიან, ღირსეული მამულიშვილის

ოთარ ნაფეტვარიძის

გარდაცვალებას, თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

გივი ნადარეიშვილი, აბელ გეგია, რევაზ ყიფიანი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, პროკურატურის დამსახურებული მუშაკი

ალიოშა ბაქრაძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“

გ. ახვლედიანის ქ. №19.

99-62-77; 899 32-85-76.

## დაიჯესტი

### ვუმკურნალოთ სისხლძარღვებს!



**ნახევარი კილო ნიორი გაფცქვენით, დაჭყლიტეთ ნივრის საჭყლეტით და გამოწურეთ წვენი, რომელსაც იმავე რაოდენობის არაყი დაასხით.** ყოველდღე ნახევარ ჭიქა რძეს დაუმატეთ ნივრის ნაყენი, ჯერ 1 წვეთი, შემდეგ 2 და ასე შემდეგ. მკურნალობის კურსი — 20-დღიანია. პირველ 10 დღეს თქვენ ზრდით წვეთების რაოდენობას, შემდეგ ათ დღეს კი ამცირებთ მათ. ნიორი ასუფთავებს სისხლძარღვებს, აახალგაზრდავებს მათ.

### დედის რძე აჭკვიანებს



**დედის რძით კვების ყოველი თვე შემდეგ სკოლაში ბავშვის წარმატებას 1 პროცენტით ზრდის, — გამოარკვიეს ამერიკელმა სპეციალისტებმა. ისინი აკვირდებოდნენ ძუძუს წოვის ხანგრძლივ ეფექტებს 59 ოჯახში 126 ტყუპის მაგალითზე.** ყოველ წყვილში ერთ ტყუპთაგანს ძუძუს აწოვებდნენ, მეორეს კი ხელოვნურ საკვებს აძლევდნენ. შემდეგ 18 წლის განმავლობაში მეცნიერები აკვირდებოდნენ ტყუპების ჯანმრთელობასა და აკადემიურ წარმატებას. აღმოჩნდა,რომ ძუძუს წოვების ყოველი თვე 1 პროცენტით აუმჯობესებდა სკოლაში წარმატებას და 2 პროცენტით ზრდიდა უმაღლეს სასწავლებლებში წარმატებით შესვლის ალბათობას.

### თუ გარუჯვისას „გადაიწვით“

**„გადაწვის“ ყველაზე დიდი საშიშროება ემუქრებათ ბავშვებს, ხანდაზმულებს, ძალზე გასუქებულებსა და იმათ, მძიმე ფიზიკურ შრომას რომ ეწევიან.**

„გადაწვის“ ჩვეულებრივი სიმპტომებია თავბრუსხვევა, ყრუ თავის ტკივილი, დაღლილობის გრძნობა, გულისრევა. ამ დროს კანი ინესტება, სახეფითრდება, სუნთქვა ხშირდება და ზედაპირული ხდება, იმატებს მაჯისცემა.

თუ თქვენ იგრძენით, რომ „გადაიწვით“, შედით ჩრდილში ან შენობაში, დალიეთ შემარილებული წყალი (1/4 ჩაის კოვზი მარილი ჭიქა წყალზე), შუბლზე კი სველი ტილო დაიდეთ.

მზის დარტყმა „გადაწვისგან“ გამოირჩევა უფრო სერიოზული სიმპტომებით — ჩვეულებრივად ის მოულოდნელად იწყება, ტემპერატურა 39-40 გრადუსამდე იწევა, იწყება გაძლიერებული გულისცემა, კანი მშრალი და ცხელია, ჩნდება გულის რევის გრძნობა და პირღებინება. შესაძლოა კანკალიც და ჰალუცინაციებიც.

მზედარტყმული ადამიანი უნდა გადაიყვანოთ გრილ ადგილას, გადააფაროთ სველი ზეწარი, მაგრამ არ დაუშვათ მისი გაცივება. მას აძლევენ, რაც შეიძლება, მეტ სასმელს (საუკეთესოა, შემარილებული წყალი და გლუკოზის შემცველი წვენები), აუცილებლად გამოიძახეთ ექიმი, რადგან ამ მდგომარეობამ, შესაძლოა, გამოიწვიოს საშიში შედეგები.



### ქალის ხელით შექმნილი უკვდავება



**ხელოვნების ისტორიისადმი მიძღვნილ სპეციალურ ლიტერატურაში მშვენიერი სქესის წარმომადგენლების სახელები ხშირად ჩრდილში ექცეოდა ხოლმე. ამ უსამართლობის გამოსწორება რამდენიმე ხნის წინათ ხელოვნებათმცოდნე ნენსი ჰელერმა სცადა თავისი ნაშრომით „მხატვარი ქალები“.**

წიგნი რენესანსიდან მოყოლებული ჩვენი დროის ჩათვლით პერიოდს, ანუ დაახლოებით ხუთ საუკუნეს მოიცავს, თუმცა ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ მანამდე ნიჭიერი მხატვარი ქალები არ იყვნენ. ამის მიზეზი კი ის არის, რომ ამ ქალბატონებისა და მათი ნამუშევრების შესახებ სარწმუნო წყაროები ნაკლებად არსებობს, ანდა ინფორმაცია, უკეთეს შემთხვევაში, ფრაგმენტური ხასიათისაა. თუმცა მისის ნენსი ჰანტერი ძალ-ღონეს არ იშურებს იმისთვის, რომ კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით დაამტკიცოს მხატვარ ქალთა და მამაკაცთა ნიჭისა და მნიშვნელობის ტოლფასოვნობა. მაგალითად, XVII საუკუნის იტალიელი მხატვარი ქალის არტემიზია ჯენტილეკის სურათის „იუდიფი, რომელიც ოლოფერნს კლავს“ შესახებ იგი წერს, რომ გამომსახველობის სიძლიერით იგი არაფრით ჩამოუვარდება ამავე სიუჟეტზე მამაკაცების მიერ შექმნილ მხატვრულ ტილოებს. იგი ასევე იხსენიებს XIX საუკუნის მოქანდაკე ქალს ვინი რიმ ჰოქსის, რომელსაც კაპიტოლიუმზე დასადგმელად პრეზიდენტ ლინკოლნის ქანდაკება შეუკვეთეს, ასევე XX საუკუნის მხატვარ ქალზე ჯორჯია ო' კიფზე, რომელიც ჯიუტი, ერთობ თავისებური ხასიათის ქალბატონი იყო, თუმცა მისი ფერწერის სტილი სულს მალამოსავით ედება.

**სურათზე: მარი ვიჟე-ლებრენი, თავადის ქალის გოლოვინის პორტრეტი.**

### თეატრის ისტორია ტემზის ნაპირზე

**გასაოცარი ფაქტია, მაგრამ საუკუნეთა მანძილზე შექსპირის სამშობლოში ინგლისის თეატრის ისტორიის არც ერთი მუზეუმი არ არსებობდა. ყველა რელიკვია და ბრიტანეთის კუნძულების დრამატურგიასთან დაკავშირებული ყველა ნივთი XX საუკუნის 90-იან წლებამდე უბრალოდ ლონდონის ვიქტორიასა და ალბერტის მუზეუმის ერთ-ერთ ფლიგელში ინახებოდა.**



მაგრამ გასული საუკუნის 90-იან წლებში, საოპერო თეატრ „კოვენტ-გარდენის“ მახლობლად, ინგლისის სასცენო ხელოვნების მუზეუმი გაიხსნა, რომელშიც წარმოდგენილია დიდი გემოვნებით შერჩეული ძველი თეატრების შიდა მოწყობის ელემენტები — ძველებური ლოჟები, ქანდაკებები, ბრები, დეკორატიული ელემენტები.

ექსპონატებს შორის (რომელთა ნაწილი მუზეუმს მოყვარულმა კოლექციონერებმა გადასცესძ შერიდანის პიესის „ქილიკის სკოლის“ ხელნაწერი, XVIII საუკუნის მსახიობის, შექსპირის მრავალი გმირის სახელოვანი შემსრულებლის დევიდ ჰერეკის დაშნა, დიაგილევის საბალეტო დასისთვის ჟან კოქტოს მიერ დაწერილი ერთაქტიანი სპექტაკლის სცენარი, პიტერ ტაუნშენდის გიტარა, ფრანგი საოპერო მომღერლის მისტენჰეტის სირაქლემას ნაკრტენის ვარდისფერი მარაოა, რომელიც XX საუკუნის 20-30-იან წლებში პარიზის „მულენ რუჟის“ კაბარეს სტუმრებს შოკს ჰგვრიდა და მრავალი სხვა ღირსშესანიშნავი ნივთი.

**სურათზე: თეატრის ისტორიის ლონდონის მუზეუმის ერთ-ერთი ექსპონატი — პაბლო პიკასოს შესრულებული კოსტიუმის ესკიზი დიაგილევის დასის ბალეტისთვის „აღლუმი“, რომლის მუსიკის ავტორია ერიკ სატი.**

### მხატვრის „დიუშამპიზმები“

**ხელოვნებათა ცენტრი ბობური სხვა პარიზულ მუზეუმებთან შედარებით გაცილებით ახალგაზრდაა, თუმცა იგი მსოფლიოში ხელოვნების ყველა მოყვარულისთვის კარგადაა ცნობილი. მაგრამ, ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ თანამედროვე ხელოვნების ამ ერთ-ერთმა ყველაზე სახელოვანმა მსოფლიო ცენტრმა თავისი ერთი პირველთაგანი ექსპოზიცია ავანგარდიზმის „მამად“ მონათლულ მარსელ დიუშამპს მიუძღვნა, რომელიც არათუ ყველა მუზეუმისა და გამოფენის კატეგორიული წინააღმდეგი იყო, არამედ სახელი გაითქვა როგორც... მუზეუმების დამანგრეველმა!**



მას ცხოვრებაში ორჯერ ანდეს გამოფენის მოწყობა: პირველად, 1938 წელს, პარიზის გამოფენისა, სადაც მან სოფიტებით დარბაზის ჭერი გააჩახჩახა, ხოლო სურათები კი სრულ სიბნელეში დატოვა, მეორედ კი ნიუ-იორკში მან მავთულისგან ისეთი ლაბირინთი შექმნა, რომ ექსპონატებამდე მიღწევა ძალიან ცოტა მნახველმა მოახერხა.

მარსელ დიუშამპმა სახელი XX საუკუნის 20-იან წლებში გაითქვა,როცა გამოფენაზე ჩვეულებრივი უნიტაზი გაგზავნა, რომელსაც... „შადრევანი“ დაარქვა, ხოლო მეორე ექსპონატს, რომელიც ჩვეულებრივი ბოთლების გასაშრობი იყო, მან სახელიც კი არ შეუცვალა და „ბოთლების გასაშრობი“ დაარქვა.

**ამ აკვარელზე სწორედ ის მომენტია ასახული, როცა მხატვარი ბოთლების გასაშრობს ყიდულობს.**

უცხოური პრესის მიხედვით

## კადრი



გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის ახალი მისამართია: გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიასძ ქ. №19. ტელ: 99-62-77.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

## ანეკდოტები

— რატომ ეყრები ცოლს?

— იმიტომ, რომ მთელი ღამე სახლში არ ყოფილა, დილით კი მითხრა, ჩემს დასთან ვიყავიო.

— მერე რა?

— რა და ის, რომ იტყუება — მის დასთან წუხელ მე ვიყავი!

* * *

— თუ დააკვირდები, მას შემდეგ, რაც ჩვენს ბიჭს ყოველი ხუთიანისთვის ას დოლარს ვაძლევთ, მან აშკარად უკეთ დაიწყო სწავლა! — ეუბნება „ახალი ქართველი“ ცოლს.

— ძალიანაც ნუ გიხარია. ჯერ იქნებ ის გავარკვიოთ, რა შემოსავლებით იყიდა მისმა მათემატიკის მასწავლებელმა ახალი „აუდი“?



* * *

შემდეგ კი წავედით მმაჩის ბიუროში და სახელმწიფოს ვამცნეთ, რომ ერთად გვძინავს...

* * *

უხელო მიხო პაპას, ზოოპარკში დარაჯად რომ მუშაობს, კვლავაც გულწრფელად სწამს, რომ ნიანგს მოსწონს, როცა მას ცხვირს უფხანენ.

* * *

ჭაბუკი მაღაზიაში ზესწრაფ მოტოციკლეტს ყიდულობს და კომპლექტაციას ამოწმებს:

— ინსტრუქცია არის, ინსტრუმენტებიც სრულადაა, სათადარიგო ნაწილებიც, ესეც კოხტად დაკეცილი ქალის შავი ცხვირსახოცი... ეს რაა, რა ჯანდაბად მინდა შავი ცხვირსახოცი?!

— ეს საჩუქარია, დედათქვენისთვის... დასჭირდება...

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.